

# ახალი ტანათლები

№8 (442) გამოდის 1998 წლიდან

## ნუგზარ შატაიძე 1944-2009

ნუგზარ შატაიძე ჩემი მწერალია...

„ჩემ მწერლებს“ ვუწოდებ მათ, ვის წიგნებსაც, რამდენჯერმე წაკითხულს, ხშირად ვუბრუნდები, წელიწადში სულ ცოტა, ორ-სამჯერ მაინც. მომენტურადაა ხოლმე სამყარო, რომელშიც არაერთხელ მიგრძენია თავი კარგად, ვიღებ თაროდან კრებულს და ვინწყებ კითხვას. როგორც წესი, ვკითხულობ ხოლმე ძალიან გულდასმით და ძალიან ნელა – მაქსიმალურად ვიხანგრძლივებ სიამოვნებას.

ლიტერატურამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე და ხშირად ვიმეორებ ხოლმე, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ორმოცს რომ გადავაბიჯე, მერე – კარგმა წიგნებმა გადამარჩინეს, კარგ მწერლებთან, ძველებთან და ახლებთან, ქართველებთან და უცხოელებთან ვაშლი ვარ-მეთქი...

ნუგზარ შატაიძე ერთ-ერთი მათგანია...

ნუგზარ შატაიძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძვლების, ხელოვნებაში მომხდარი ბუნებრივი და არაბუნებრივი ცვლილებების მიუხედავად, მხნედ და ჯიუტად მიუყვება გზას, ბილიკს თუ აღმართს, რომელზე სიარულიც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე ძნელია. ეს განსაკუთრებით გზა, რომელსაც მიუყვებოდნენ და დღემდე მიუყვებიან მწერლები, რომლებიც კი არ აფიქსირებენ ცხოვრებას ფოტოგრაფიებით, კი არ აკვირდებიან მას, როგორც ექსპერიმენტისათვის გამეტებულ საბრალო ცხოველს, უკვე დაწერილის ინტერპრეტაციებს კი არ სთავაზობენ მკითხველს, არამედ თანაუგრძობენ ადამიანს, უყვართ ადამიანი და იმ დიდი ამერიკელისა არ იყოს, მწერლობას რომ მშვენივრად უთავსებდა ფერმეობას – სჯერათ, რომ ის არათუ გაუძლებს და გადარჩება, არამედ გაიმარჯვებს კიდევ!

„მეოცე საუკუნის ქართული მოთხრობა“. როგორი სახელია?.. რაც გნებავთ ის წარმოიდგინეთ ამ სახელის მიღმა – გნებავთ ფანტასტიური წიგნი, გნებავთ ტირენი დაბოლოებული სტრიქონი სქელ, ლორდათა პალატის წევრივით სოლიდურ ენციკლოპედიამო... ამ სახელის ერთ-ერთი შემქმნელია ნუგზარ შატაიძე – „ჩემი მწერალი“.

ზაალ სამადაშვილი



### სვეტიცხოველი

საყდრის ეზოში შესულს გეჩვენება, რომ სამშობლოში დაბრუნდი: მტკივნეულად ნაცნობი გალავანი, ტაძრის მშობლიურად თბილი კედლები, რბილი, რბილი ბალახით შემოსილი მიწა...

რა არის ეს, რატომ გიჩნდება ასეთი განცდა?! იქნებ იმიტომ, რომ სწორედ აქედან დაიწყო შენთვის ნაცნობი საქართველო...

არმაზი შორს არის, წყვილიდან დანთქმულან დიადი კერპები – გაცი და გა, აქ კი, აი, ამ მიწაში, განისვენებს ებრაელის ქალი სიდონია, რომელსაც გულში მაცხოვრის კვართი ჩაუხუტებია... უკვე ორიათასი წელია, რაც ეს არის შენი სამშობლო, სწორედ ეს! სხვა არ გახსოვს – მას შემადრწუნებლად სქელი საბურველი ფარავს.

ცვლილება  
სახელმწიფოებრივი  
გრიუიკების წესი  
გვერდი 4

ალექსანდრე სევერსკის  
პათეტიკის  
გაქვეთილება  
გვერდი 8-9

მოხარული  
კალაშნიკის  
პროვინციისა და  
დაქალაქის შესახებ  
გვერდი 10



## გახდი ოლიმპიელი!



2009 წლის 27 თებერვალს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ ბრიფინგი გამართა. ამიერიდან მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადები 8 საგანსა და 5 სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიას მოიცავს და უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი იქნება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი ინიციატივით, სასკოლო ოლიმპიადები ყოველწლიურად ჩატარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა.

სასკოლო ოლიმპიადის მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება, საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის.

სასკოლო ოლიმპიადებში ათასობით მოსწავლე ჩაერთვება, მათგან 10 გამარჯვებული ეროვნული ნაკრების წევრი გახდება და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებში მიიღებს მონაწილეობას. ასევე გამოვლინდება 10 საუკეთესო სკოლა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდება.

სასწავლო ოლიმპიადის გამოცდების ეროვნული ცენტრი ჩატარებს.

წელს ოლიმპიადები ჩატარდება 2 ტურად (შესარჩევი და დასკვნითი ტურები); მომავალი წლიდან 3 ტურად (შესარჩევი, რეგიონული და დასკვნითი ტურები).

თითოეულ ტურში მოსწავლის გამარჯვება აღინიშნება სიგელით და სხვადასხვა წამახალისებელი ჯილდოთი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს პედაგოგებისა და სკოლის დირექციის ღვაწლი.

წახალისების სავარაუდო ფორმები თითოეული ტურისათვის:

I ტურში გამარჯვებულები – მონაშობა (სავალდებულო) და ლიტერატურა იმ საგანში, რომელშიც გაიმარჯვა (სასურველი).

II ტურში გამარჯვებულები — მონაშობა როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის (სავალდებულო); ლიტერატურა, მასწავლებელთა წვლილის აღნიშვნა, თუ ერთი სკოლიდან რამდენიმე მოსწავლე გაიმარჯვებს და ა.შ., სკოლის რესურსების სრულყოფაში დახმარება (სასურველი).

III ტურში გამარჯვებულები – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სიგელი როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს.

I, II და III პრემია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აწესებს პრიზებს (სასურველი: კომპიუტერი, ენციკლოპედიები, მასწავლებელთათვის ფულადი ჯილდო, სკოლების ბიბლიოთეკის და სხვა რესურსების სრულყოფა და ა.შ.)

III ტურში გამარჯვებულები ხდებიან საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატები.

I ტური	II ტური	I ტური	II ტური
29 მარტი	3 მაისი	28 მარტი	2 მაისი
ქართული ენა და ლიტერატურა		ფიზიკა	
მათემატიკა		ბიოლოგია	
ქიმია		ისტორია	
გეოგრაფია		ინფორმატიკა	

ინფორმაციისთვის მიმართეთ: თბილისი, ივ.ჯავახიშვილის 60, ტელ: 43-94-17, 43-94-18, 43-92-12, 43-94-15 ფაქსი 43-94-03

**აირჩიეთ. სად ისწავლით**

## ახალქალაქის უმაღლესი საბანმანათლებლო დანესებულება - კოლეჯი

**ახალქალაქის უმაღლეს საბანმანათლებლო  
დანესებულება კოლეჯში ფუნქციონირებს  
ორი 240-კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა:**

- **ჰუმანიტარულ მიმართულებით**  
(წლიური გადასახადი - 1250 ლარი, კონტინგენტი - 40)
- **ბიზნესისა და მართვის**  
(წლიური გადასახადი - 1500 ლარი, კონტინგენტი - 75)  
სპეციალური - ქართული ფილოლოგია,  
საპუბლიკო და საგადასახადო საქმი.

**კოლეჯს აქვს ასევე 180-კრედიტიანი პროფესიული  
უმაღლესი განათლების პროგრამები:**

- **მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირება**
- **გულდასმული აღრიცხვა**  
(წლიური გადასახადი - 1000 ლარი, კონტინგენტი - 15 + 15)

ახალქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულება - კოლეჯში სწავლის საფასური არ გაზრდილა, რადგანაც სასწავლებლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივ ახალგაზრდობას, მიიღონ უმაღლესი განათლება სახელმწიფო ენაზე, რათა ინტერგრირებულნი იყვნენ დანარჩენ საქართველოსთან. ამისათვის კოლეჯში ყველანაირი პირობაა შექმნილი, სასწავლო კორპუსი და აუდიტორიები თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება. ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება - კოლეჯი თსუ-ს ჯავახეთის უფლებამონაცვლე ფილიალია და მისი კურსდამთავრებულების 70 პროცენტი დასაქმებულია.

ახალქალაქი, აღმაშენებლის ქუჩა №119  
ტელეფონი: 899 58 84 61, 855 38 62 93  
ელფოსტა: roinkav@rambler.ru

**TSC შპს „ტექსერვისცენტრი“**

**კომპიუტერული, საოფისო და  
საყოფასწოვრებო ტექნიკის სერვისი**

**სასწავლო დანესებულებებისთვის  
ფასდაკლება 20%, ადგილზე მომსახურება,  
უფასო დიაგნოსტიკა**

- კარტრიჯების აღდგენა.
- პრინტერების შეკეთება.
- კოპირების შეკეთება.
- ქსელის მონტაჟი.
- კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა.
- ნოუთბუქების შეკეთება.
- ვებ დიზაინი.
- ტელეფონების (რადიო ტელეფონი, მობილური, ფაქსი) შეკეთება.
- სისტემური ტელეფონის მონტაჟი-პროგრამირება-შეკეთება.
- უწყვეტი კვების ბლოკების და ადაპტერების შეკეთება.
- მონიტორების შეკეთება.
- ტელევიზორის შეკეთება.
- ტელევიზორის ქსელის მონტაჟი.
- მუსიკალური ცენტრების შეკეთება.

- სარეცხი მანქანის შეკეთება.
- გაზის და ელექტროქურების შეკეთება.
- მაცივრების შეკეთება.
- კონდინციონერების შეკეთება.
- სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეკეთება.
- დამაფონის მონტაჟი-შეკეთება.
- დაცვითი და სისტემების პროექტირება-მონტაჟი-შეკეთება.
- სანტექნიკის მონტაჟი-შეკეთება.
- გათბობის სისტემის მონტაჟი შეკეთება.
- დაბალი დენების ქსელის დაპროექტება-მონტაჟი.
- საწარმოს ხაზის მონტაჟი.
- სხვადასხვა ფორმატის კასეტების ინფორმაციის ჩაწერა-გადაწერა.

აღ. ყაზაგის გამზ. №1. ტელ: 371-471, 37-41-14  
ელ-ფოსტა: tsc@caucasus.net servise@tsc.ge  
**www.tsc.ge**

შპს „ტექსერვისცენტრი“ **TSC**

# საერთო სამაგისტრო გამოცდები წელს პირველად ჩატარდება

**აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მაგისტრანტებს ამიერიდან სახელმწიფო დააფინანსებს**

მაგისტრატურაში ჩასარიცხად მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გაიაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში. სპეციალობის გამოცდას განსაზღვრავს და ატარებს ის უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება, სადაც მაგისტრანტობის კანდიდატს სწავლის გაგრძელება სურს.


**საერთო სამაგისტრო გამოცდას ატარებს  
გამოცდების ეროვნული ცენტრი.**

გამოცდის შედეგების მიხედვით მაგისტრანტისთვის გაიცემა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი. სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც, სამინისტროს შიდა ხარჯების მობილიზების ხარჯზე, 1000-დან 2250 ლარამდე საგრანტო დაფინანსებას 1000-მდე მაგისტრანტი მიიღებს.

- თანხის პირველი 10% გაიცემა საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე, ანუ რეიტინგული სიის მიხედვით უმაღლესი მაჩვენებლების მქონე მაგისტრანტებზე;
- მომდევნო 40% გადანაწილდება თანაბრად შემდეგი მიმართულებების მიხედვით: ბიზნესი და ეკონომიკა, ჰუმანიტარული, სოციალური, სამართალი, საინჟინრო, განათლება და პედაგოგია, საბუნებისმეტყველო, აგრარული, მათემატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელოვნება, ჯანდაცვა;
- მომდევნო 50% გადანაწილდება სახელმწიფოსთვის ამ ეტაპზე პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, ესენია: ჰუმანიტარული, განათლება და პედაგოგია, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებები.

**საერთო სამაგისტრო გამოცდები ჩატარდება  
ივლისში ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის  
განკუთვნილ საგამოცდო ცენტრებში.**

გამოცდა ტარდება 2 ნაწილად, 2 დღის განმავლობაში.



სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შედეგადაც სამინისტროს შიდა ხარჯების მოზილიზების ხარჯზე 1000-დან 2250 ლარამდე საგრანტო დაფინანსებას 1000-მდე მაგისტრანტი მიიღებს



# ბრიტოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ასხადებს მიღებას საბაკალავრო და მედიკოსის პროგრამებზე

- ♦ იუნესკოს გამოკვლავით, უნივერსიტეტი, დასაქმების მაჩვენებლით, პირველ ხუთეულშია დასახელებული
- ♦ სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებით, უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის | ადგილზეა (საქართველოს მთავრობის სხდომის მონაცემები)

## ბრიტოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი გთავაზობთ:

- ♦ უახლესი ლაბორატორიული ტექნიკით აღჭურვილ უნივერსიტეტულ სასწავლო რესურსებს – საქართველოში ერთადერთ საფანტომო ტრენაჟორულ ცენტრს, კრიმინალისტიკის ლაბორატორიას, სატელევიზიო სტუდიას, ლინგვისტიკის ცენტრს და ა. შ.
- ♦ უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივ პროგრამებს ორმაგი დიპლომი-სა და ხარისხის მინიჭებით

და კიდევ ...

### უნივერსიტეტი ითვალისწინებს უპრეცედენტო სოციალურ და ნამახასიათებელ პაკეტებს

- ♦ გრანტის მფლობელ სტუდენტებისათვის მოპოვებული გრანტის შესაბამისი ოდენობის გადასახადის დაფარვას ფორმულით „სახელმწიფო ბრანტი + საუნივერსიტეტო ბრანტი“;
- ♦ განსაკუთრებულ ფინანსურ შეღავათებს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის;
- ♦ სტიპენდიას სტუდენტებისათვის, სემესტრული სარეიტინგო მონაცემების მიხედვით, 50-დან 200 ლარის ოდენობით (რეიტინგის შესაბამისად);
- ♦ ფინანსურ შეღავათებს სტუდენტებისათვის სხვა ცალკეულ შემთხვევაშიც, რაც განიხილება ინდივიდუალურად, როგორც წესი, სტუდენტის სასარგებლოდ.

### საბაკალავრო პროგრამები:

- ♦ სტომატოლოგია;
- ♦ ფარმაცია;
- ♦ სამართალმცოდნეობა;
- ♦ ინგლისური ენა და ლიტერატურა;
- ♦ ტელე-რადიოჟურნალისტიკა;
- ♦ ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- ♦ საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე;
- ♦ ტურიზმის მენეჯმენტი;
- ♦ მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
- ♦ მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ამერიკული პროგრამა;
- ♦ ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის გერმანული პროგრამა.

### ერთობლივი პროგრამები:

- ♦ ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქართულ-ბრიტანულ-უნგრული პროგრამა;
- ♦ ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქართულ-ამერიკული პროგრამა.

### ინტეგრირებული პროგრამა:

- ♦ ტელე-რადიოჟურნალისტიკის ქართულ-ბრიტანული ინტეგრირებული პროგრამა.

მისამართი: ჯანო ბაბრათიონის 6. ტელ.: 38 44 06; 38 56 95 ფაქსი: 25 29 81. [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)

# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი ტრადიციული და კონკურენტუნარიანი უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც ინტენსიურად ეცნობა და წერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებს ევროპულ საუნივერსიტეტო სივრცეში უფრო სრულყოფილი ინტეგრაციის მიზნით. ყოველივე ეს მის კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს, მოიპოვონ საერთაშორისო სტიპენდიები და გაიმარჯვონ გაცვლით პროგრამებში განათლების უფრო მაღალი საფეხურის ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში გასავლელად.

ანსუ-ს ურთიერთობა აქვს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, კანადის, საფრანგეთის, ბელგიის, ეგვიპტის, არაბთა რესპუბლიკის, ირანის ისლამური რესპუბლიკის, თურქეთისა და ლატვიის უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მიმდინარე წელს, ისევე როგორც შარშან, უნივერსიტეტი სტუდენტებს მიიღებს უმაღლეს აკადემიურ (ბაკალავრიატი) და პროფესიულ პროგრამებზე. უნივერსიტეტს აქვს მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზები და კაბინეტ-ლაბორატორიები, ინტერნეტ-ლაბორატორიები და მრავალფეროვანი სპორტული ინფრასტრუქტურა.



## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი(009) 2008-2009 წლისათვის ასხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალურობებზე:

**ჰუმანიტარულ მიცენიერებათა ფაკულტეტი-00901:** ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა და ლიტერატურა; გერმანული ენა და ლიტერატურა; ფრანგული ენა და ლიტერატურა; რუსული ენა და ლიტერატურა); აღმოსავლეთმცოდნეობა (არაბისტიკა; ირანისტიკა; თურქოლოგია); არქეოლოგია.

**ზუსტ და საზოგადოებრივ მიცენიერებათა ფაკულტეტი-00902:** მათემატიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები; ფიზიკა; ბიოლოგია; ეკოლოგია; ქიმია; გეოგრაფია.

**მედიცინის ფაკულტეტი-00903:** სამკურნალო საქმე; სტომატოლოგია; ფარმაცია.

**საზოგადოებრივ მიცენიერებათა ფაკულტეტი-00904:** სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო ურთიერთობები; ისტორია; ჟურნალისტიკა; ფილოსოფია; ბიზნესის მართვა (საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; მენეჯმენტი; მარკეტინგი; საბუღალტრო და საგადასახადო საქმე; ტურიზმი).

**ავადგომიური ფაკულტეტი-00905:** დანყებითი განათლება.

**საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი-00906:** ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა; მანქანათმშენებლობა; მეტალურგია; ელექტროენერგეტიკა; ელექტრონიკა (ბიოსამედიცინო ელექტრონიკა; კრიმინალისტიკური ელექტრონიკა); ტელეკომუნიკაცია; სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა; ხარისხის მართვა და საზოგადოებრივი ტექნიკა.

**საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი-00907:** ქიმიური ტექნოლოგია (ქიმიურ-ფარმაცევტული და კოსმეტიკური პრეპარატების ტექნოლოგია; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; მერქნული მასალების ტექნოლოგია); მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია (ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ნაკეთობათა ტექნოლოგია; ტექსტილის ტექნოლოგია); გამოყენებითი დიზაინი (ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დიზაინი; ტექსტილის დიზაინი); სასურსათო ტექნოლოგია.

### უმაღლესი პროფესიული პროგრამები

**საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტი-00908:** საზღვაო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა; სააუდიტორო საქმე (ფაკულტეტი განთავსებულია ფოთში, 9 აპრილის ხეივანი, №11).



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
National Curriculum & Assessment Centre

## სვლილებები ბრიფინგის წესში

მოგზადდა სახელმძღვანელო ბრიფინგის მიზნების წესის ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც, სავარაუდოდ, უკვე 2009/10 სასწავლო წლისთვის მოხდება სახელმძღვანელოების ბრიფინგები. ახალი წესით ბრიფინგის პროცესი დაიწყება ამა წლის გაზაფხულზე. გამოცემისთვის უნდა წარმოადგინონ სხვადასხვა კლასის სახელმძღვანელოები (ჩამონათვალი, კლასების

მიხედვით, იხილეთ მე-5 გვერდი). სახელმძღვანელოების წარმოდგენა შესაძლებელი იქნება 15 აპრილამდე. დაგეგმილი ინფორმაცია ბრიფინგის ვებგვერდზე და სხვა დეტალებთან დაკავშირებით იხილეთ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის საიტზე [www.ganatileba.org](http://www.ganatileba.org)

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2009 წ.

### სახელმძღვანელო ბრიფინგის მიზნების წესი

#### თავი 1. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტება**  
ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის სახელმძღვანელო** - ეროვნული სასწავლო გეგმის, მასში შემავალი საგნობრივი პროგრამის (საგნობრივი სტანდარტისა და პროგრამის შინაარსის) მიხედვით შექმნილი ნიგნი, რომელიც განკუთვნილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგების მიღწევისათვის და რომელსაც მინიჭებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის (შემდგომში ცენტრი) მიერ სახელმძღვანელოს გრიფი;

ბ) **საგნობრივი სტანდარტი** - ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ადგენს იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს კონკრეტული საგანში ან/და საგნობრივ ჯგუფში;

გ) **მასწავლებლის ნიგნი** - სახელმძღვანელო, რომელიც მასწავლებელს აძლევს მეთოდური ხასიათის მითითებებს და რომლის საფუძველზეც მასწავლებელი ახორციელებს სწავლებას;

დ) **მოსწავლის ნიგნი** - სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად;

ე) **მოსწავლის რეველი** - მოსწავლის ნიგნის ნაწილი, დაბეჭდილი, როგორც მოსწავლის ნიგნთან ერთად, ისე შესაძლოა ცალკე ტომად, რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ სავარჯიშოების, აქტივობებისა და სხვა დავალებების შესასრულებლად;

ვ) **მიმართულება** - საგნობრივი სტანდარტის ნაწილი, რომელიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე სფეროს.

#### მუხლი 2. გრიფინგის ძირითადი მოთხოვნები

1. სახელმძღვანელოს გრიფინგის მიზნება ხდება იმ შემთხვევაში, თუ სახელმძღვანელო აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გრიფინგის მისაღებად წარმოდგენილი ნიგნი ან ნიგნების კრებული განკუთვნილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნისთვის, საგნობრივი ჯგუფის ან/და მიმართულებისათვის, რომლისთვისაც არსებობს საგნობრივი სტანდარტები;

ბ) გრიფინგის მისაღებად წარმოდგენილია მასწავლებლის ნიგნი, ან მოსწავლისა და მასწავლებლის ნიგნი ერთად;

გ) ნიგნი წარმოდგენილია გრიფინგის მისაღებად იმ იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საგანმცემლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (შემდგომში გამოცემლობა);

დ) ნიგნის გამომცემელი, რედაქტორი, ავტორი ან დიზაინერი არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ცენტრის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვი-

თარების ცენტრის ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გამომცემის ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმძღვანელოს შექმნა ფინანსდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან ცენტრის მიერ და არ ატარებს მოგებაზე ორიენტირებულ ხასიათს.

2. სახელმძღვანელოს გრიფინგის მიზნება არ ხდება: ა) თუ წარმოდგენილი ნიგნი არ აკმაყოფილებს ამ დებულების მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს;

ბ) თუ წარმოდგენილი ნიგნი შეადგენს დამხმარე სასწავლო მასალას (დამატებით ლიტერატურას, რუკებს, ატლასებს, ენციკლოპედიებს და სხვ.);

გ) თუ წარმოდგენილი ნიგნი არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის ან მიმართულების შესასწავლად განკუთვნილი სახელმძღვანელო;

დ) თუ არსებობს დასაბუთებული და დადასტურებული ეჭვი, რომ წარმოდგენილი მასალა შექმნილია ამ დებულებით გათვალისწინებული წესებისა და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით;

ე) გამომცემელი, რედაქტორი, ავტორი, დიზაინერი ან სხვა ნებისმიერი პირი ან იურიდიული დაინტერესებული პირი ნიგნის შემფასებლებზე ან/და ცენტრის სხვა თანამშრომლებზე ახორციელებს გრიფინგის მიზნების პროცედურით გათვალისწინებულ ზემოქმედებას, ერევა მის საქმიანობაში ან ცდილობს მათთან ვარიანტებში შესვლას შეფასების ან/და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მიზნით;

ვ) თუ ნიგნი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;

ზ) თუ ნიგნი განკუთვნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილ ე.წ. გამჭოლი სასწავლო პრიორიტეტების სწავლებისთვის, მათ შორის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხრივ.

#### მუხლი 4. გრიფინგის მიზნების პერიოდული და მისი მოქმედების ვადა

1. რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფინგის მიზნება თითოეული საგნის, საგნობრივი ჯგუფის ან/და მიმართულების სახელმძღვანელოსათვის ხდება კლასების, საფეხურის ან დონეების მიხედვით.

2. კონკრეტული კლასის საგნის, საგნობრივი ჯგუფის ან მიმართულების სახელმძღვანელოს გრიფინგის მოქმედების ვადა გრძელდება ამავე კლასის საგნის, საგნობრივი ჯგუფის ან მიმართულების ახალ სახელმძღვანელოზე/სახელმძღვანელოებზე გრიფინგის მიზნების პროცესის გამოცხადებამდე.

3. კონკრეტული კლასის სახელმძღვანელოების გრიფინგის ვადა განისაზღვრება წლით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ კლასის საგანში მნიშვნელოვნად იცვლება სასწავლო გეგმა.

#### მუხლი 5. სახელმძღვანელოს გრიფინგის მიზნების პროცედურები

1. ცენტრი აქვეყნებს გამომცემლობებისთვის სახელმძღვანელოს გრიფინგის მიზნების გა-

ნაცხადის შემოტანის, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებში სახელმძღვანელოების განთავსების, სახელმძღვანელოების ნიმუშების ვებგვერდზე განთავსების ვადებსა და ფორმას კონკრეტული კლასის, საგნის, საფეხურის, დონის, საგნობრივი ჯგუფის ან მიმართულებისათვის.

2. განაცხადის წარდგენა შეუძლია ნებისმიერ გამომცემლობას. იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი - გამომცემლობა დაფუძნებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, ცენტრს უფლება აქვს გამოითხოვოს იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია.

3. გრიფინგის დროს ცენტრი განიხილავს გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოს შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან და ამ დებულების N1 დანართით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმებთან.

4. ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ ვადებში გამომცემლობამ უნდა წარმოადგინოს:

ა) ამ ბრძანების N1 დანართით გათვალისწინებული გამომცემლობის მიერ შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შევსებული, საკუთარი სახელმძღვანელოს თვითშეფასება;

ბ) ნიგნის დასრულებული ბეჭდური ვარიანტი (მოსწავლის და/ან მასწავლებლის ნიგნი) ცენტრის მიერ დადგენილი რაოდენობის ეგზემპლარად. იმ შემთხვევაში, თუ გამომცემლობის მიერ გათვალისწინებულია სახელმძღვანელოს ფერადი ტირაჟირება, ნიგნი წარმოდგენილი უნდა იყოს ფერადი სახით, ხოლო მისი აკინძვა არ არის აუცილებელი. შესაძლებელია ფერადი ვარიანტის წარმოდგენა ელექტრონული ფორმით;

გ) ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით სპეციალურ ვებგვერდზე ნიგნის ელექტრონული ნიმუშები.

5. გრიფინგისთვის შემოტანილი სახელმძღვანელოები ფასდება ცენტრის ან/და მონვეული ექსპერტების მიერ, ამ დებულების N1 დანართით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

6. ამ დებულების დანართ N1-ში მოცემული თითოეული კრიტერიუმის მიხედვით, ექსპერტების შეფასებისა და გამომცემლობის თვითშეფასების გასაშუალოების გზით ხდება სახელმძღვანელოს საბოლოო შეფასების დადგენა; გამომცემლობის თვითშეფასების გათვალისწინება არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩნდება დასაბუთებული ეჭვი მისი შეფასების რაციონალურობის მიმართ.

7. გრიფინგის შეფასებების დასრულების შემდეგ, ცენტრი უმოკლეს ვადებში აქვეყნებს სახელმძღვანელოების შეფასებებს სპეციალურად გამოყოფილ ინტერნეტგვერდზე და სახელმძღვანელოების სპეციალურ დაბეჭდილ კატალოგში.

8. იმ შემთხვევაში, თუ შემოტანილი სახელმძღვანელო ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, სახელმძღვანელოს გამოყენება სკოლებში იკრძალება.

#### მუხლი 7. სახელმძღვანელოების პილოტირება

1. სახელმძღვანელოების პილოტირება გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდის პარალელურად, სახელმძღვანე-

ლოების შექმნის პროცესს, როდესაც სახელმძღვანელო გრიფინგის პროცედურამდე გადის გამოცდას სკოლებში. სახელმძღვანელოების პილოტირების მიზანია სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესებაში ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და საჯარო სკოლების ჩართულობის გაზრდა.

2. პილოტირების განრიგს ამტკიცებს და აქვეყნებს ცენტრი.

3. პილოტირების პროცესში მონაწილეობისთვის გამომცემლობა ვალდებულია:

ა) სახელმძღვანელოს პილოტირების პროცესში მონაწილეობის შესახებ წარმოადგინოს განაცხადი;

ბ) განრიგით გათვალისწინებულ ვადებში წარმოადგინოს ცენტრის მიერ დადგენილი მოცულობისა და ფორმის მასალა განსახილველად. პირველ კლასში აუცილებელია მასწავლებლის სახელმძღვანელოს წარდგენა;

გ) პილოტირებაში მონაწილე მოსწავლესა და მასწავლებლებს უფასოდ მიაწოდოს სახელმძღვანელოს ნიმუშები;

დ) განსაზღვროს საკონტაქტო პირი გამომცემლობასა და ცენტრის ექსპერტებთან ურთიერთობაში, რომელიც უნდა წარმოადგენდეს სახელმძღვანელოს რედაქტორს;

ე) სახელმძღვანელოს დახვეწის მიზნით იხელმძღვანელოს ცენტრის ექსპერტების რეცენზიების საფუძველზე ჩამოყალიბებული ცენტრის რეკომენდაციებითა და შენიშვნებით.

4. თუ ერთსა და იმავე საგანში რამდენიმე გამომცემელი მონაწილეობს სახელმძღვანელოების პილოტირებაში, მათ შორის საპილოტე სკოლების განაწილება ხდება საჯაროდ და ნილისყრით.

5. გამომცემლობა წარმოადგენს ნიგნს ეტაპობრივად, ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად. თითოეულ ეტაპზე ფასდება სახელმძღვანელოს ნაწილი. შეფასება ფორმდება შესაბამისი რეცენზიით და ცენტრის მიერ მიიღება გადაწყვეტილება სახელმძღვანელოს ამ კონკრეტული ნაწილის პილოტირებაში მონაწილეობის მიზანშეწონილობის შესახებ.

6. თუ პილოტირების პროცესში სახელმძღვანელოს ხარისხი ვერ დააკმაყოფილებს დანართ N1-ით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ცენტრი უფლებამოსილია უარი თქვას სახელმძღვანელოსთვის პილოტირების პროცესში მონაწილეობაზე. გამომცემლობის ხარჯები სახელმძღვანელოს პილოტირების პროცესში არ უნაზღაურდება.

7. პილოტირების პროცესის გავლის დასრულებისთვის, გამომცემლობა გრიფინგის წესის მიხედვით წარმოადგენს საკუთარ სახელმძღვანელოს შესაფასებლად.

#### თავი 2. უფლებები და მოვალეობები მუხლი 8. გამომცემლობების უფლებები და მოვალეობები

1. გამომცემლობას უფლება აქვს საკუთარი მოსაზრებები რეცენზირების, ცენტრის შენიშვნებისა და რეკომენდაციების, პროცედურის, კრიტერიუმების, სახელმძღვანელოების შექმნისა და გავრცელების, ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებით მიაწოდოს ცენტრს.

2. გამომცემლობას აქვს უფლება, ამ დებულებით გათვალისწინებული წესით, მოითხოვოს, რომ მისი წიგნის შეფასებაში არ მონაწილეობდეს კონკრეტული ექსპერტი.

3. სახელმძღვანელოების გამომცემლების ასოციაცია/ასოციაციები მონაწილეობენ გრიფირების წესისა და გრიფირების კრიტერიუმების შემუშავებაში.

4. გამომცემლობას უფლება აქვს დახმარება სთხოვოს ცენტრს გრიფირებული სახელმძღვანელოების გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში (საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროს რესურსცენტრებთან დაკავშირება, პედაგოგებთან შეხვედრების ორგანიზება და სხვ.).

5. გამომცემლობები ვალდებული არიან, სახელმძღვანელოს პირველადი გრიფირებიდან 60 დღეში, განათავსონ საკუთარი გრიფირებული სახელმძღვანელოს მინიმუმ ერთი ეგზემპლარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თითოეულ საგანმანათლებლო რესურსცენტრში იმისთვის, რომ სკოლების პედაგოგებმა შეძლონ არჩევანის გაკეთება.

6. გამომცემლობა ვალდებულია, დაბეჭდოს გრიფირებული სახელმძღვანელო იმ სახით, რა სახითაც იყო დამტკიცებული ცენტრის მიერ. სახელმძღვანელოს დიზაინში ან შინაარსში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ არაარსებითი ხასიათის ცვლილება. ეს ცვლილებები ეხება კორექტურასა და ბეჭდვით შეცდომებს. სახელმძღვანელოს გრიფირებიდან მეორე სასწავლო წლისთვის გამომცემლობას აქვს უფლება, სახელმძღვანელოს გაუმჯობესების მიზნით, უმნიშვნელოდ შეცვალოს სახელმძღვანელოს შინაარსი, დიზაინი ან/და სტრუქტურა. ნებისმიერი ასეთი ცვლილება საჭიროებს ცენტრის მხრიდან თანხმობას. სახელმძღვანელოს ამგვარი ცვლილება დაუშვებელია, თუ ეს იწვევს წინა წელს გამოცემული იმავე დასახელების სახელმძღვანელოს გამოუსადეგარობას სასწავლო პროცესში.

7. გრიფირებული სახელმძღვანელოს თარგმანი არ საჭიროებს დამოუკიდებლად გრიფირებას.

8. გრიფირებული სახელმძღვანელოს ყდის მე-2 გვერდზე უნდა განთავსდეს საქართველოს სახელმწიფო გერბი და ჰიმნის ტექსტი. ყველა სახელმძღვანელოში ასევე უნდა იყოს განთავსებული – კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“. დასაშვებია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, საბავშვო ვარიანტის განთავსება მოსწავლის წიგნებში.

9. თუ გამომცემლობა არ გეგმავს რომელიმე გრიფირებული სახელმძღვანელოს ტირაჟირებას, მან ამის შესახებ ცენტრს უნდა აცნობოს სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა. ამ შემთხვევაში ცენტრი ვალდებულია გაავრცელოს ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს სკოლებში.

10. გამომცემლობა ვალდებულია იხელმძღვანელოს ცენტრის მიერ დამტკიცებული ვადებითა და განრიგით.

11. გამომცემლობა ვალდებულია ცენტრის მითითებულ ვადებში, გრიფირების პროცესის დასრულებამდე განათავსოს წიგნის ელექტრონული ნიმუშები, ცენტრის მიერ ამისთვის სპეციალურად მითითებულ ვებ გვერდზე.

12. გამომცემლობა ვალდებულია გრიფირების პირველ სასწავლო წელს, უზრუნველყოს სახელმძღვანელოს გაყიდვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამ დებულების დაწესების 1-ში მითითებული ფასის მიხედვით.

**მუხლი 9. ცენტრის უფლებები და ვალდებულებები**

1. ცენტრი ვალდებულია შეაფასოს წარმოდგენილი განაცხადი და წიგნი ობიექტურად, დროულად და პირველ რიგში მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე.

2. ცენტრი ვალდებულია უზრუნველყოს გრიფირებული სახელმძღვანელოების წარმართვალის, შეფასებისა და ნიმუშების ხელმისაწვდომობა, ყველა სკოლისთვის.

3. ცენტრი ვალდებულია შეაფასოს წარმოდგენილი განაცხადი და წიგნი მხოლოდ იმ კრიტერიუმებით, რომლებიც წინასწარ ცნობილია გამომცემლებისთვის.

4. ცენტრი ვალდებულია გრიფირების და პილოტირების პროცესში დროს ყველა გამომცემლობა განიხილოს თანაბარ პირობებში (ეს გამოიხატება თანაბარი რაოდენობის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, საპილოტე სკოლების თანაბარი განაწილებით პილოტირების დროს და სხვ.)

5. ცენტრს არ აქვს უფლება გრიფირების მიზნებისთვის გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი მასალა ამ გამომცემლობის ნებართვის გარეშე გადასცეს მესამე პირს ან გამოიყენოს სხვა მიზნებისთვის. ცენტრი არ არის უფლებამოსილი გადასცეს ერთი გამომცემლის მასალის შეფასების რეცენზიები და ცენტრის შენიშვნები და რეკომენდაციები მესამე პირს, საავტორო უფლების მქონე გამომცემლობის თანხმობის გარეშე.

6. ცენტრი არ განიხილავს ერთი გამომცემლობის მიერ წარმოდგენილ შეფასებებს სხვა გამომცემლობის მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოს შესახებ.

7. ცენტრი ახორციელებს თავის საქმიანობას გამომცემლობებთან და სახელმძღვანელოების გამომცემელთა ასოციაციებთან ურთიერთთანამშრომლობით.

8. ცენტრი ვალდებულია სახელმძღვანელოების გრიფირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გაავრცელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად და უფლებამოსილია გამოიყენოს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სხვა საშუალებები.

9. გამომცემლების, ავტორების, დიზაინერების ან სხვა დაინტერესებული პირების მიერ ცენტრის გადაწყვეტილების შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, ცენტრს უფლება აქვს, გამოაქვეყნოს რეცენზიები, ცენტრის რეკომენდაციები და შენიშვნები და საჯარო გახადოს ის მასალა, რომლის შესახებაც გავრცელდა მცდარი ინფორმაცია.

10. ცენტრის თანამშრომლებსა და შემფასებელ ექსპერტებს არ აქვთ უფლება საჯაროდ ინფორმაციის გავრცელების ან სხვა საშუალებების გამოყენებით მოახდინონ, რომელიმე კონკრეტული გრიფირებული სახელმძღვანელოს ისეთი ფორმით შეფასება (რეკლამა, კრიტიკა ან სხვ.), რომელიც ზიანს მიაყენებს ამ, ან სხვა გრიფირებულ სახელმძღვანელოს.

11. სახელმძღვანელოების შეფასებაში მონაწილე ექსპერტებს არ აქვთ უფლება საკუთარი ან სხვა ექსპერტის შეფასების შესახებ ინფორმაცია გაავრცელონ ცენტრის თანხმობის გარეშე.

12. ცენტრი ვალდებულია გამოაქვეყნოს იმ ექსპერტების სია, რომლებიც კონკრეტული დისციპლინის მიხედვით აფასებენ წიგნებს.

13. ცენტრი არ არის ვალდებული გააცნოს გამომცემლობას კონკრეტული ექსპერტის შეფასება. ცენტრი აქვეყნებს მხოლოდ შეფასებების გასაშუალოებულ ვარიანტს.

14. გამომცემლობის მოთხოვნის შემთხვევაში ცენტრს აქვს უფლება მიაწოდოს გამომცემლობას გასაშუალოებისთვის გამოყენებული ქულები ექსპერტების ავტორობის მითითების გარეშე.

**მუხლი 10. ექსპერტები**

1. სახელმძღვანელოს გრიფირების მიზნების მიზნით სახელმძღვანელოს აფასებენ ცენტრის ან/და მონვეული ექსპერტები, რომელთა რეცენზიებიც წარმოადგენენ ცენტრის მიერ გამომცემლობისათვის რეკომენდაციებისა და შენიშვნების მიცემის, წიგნისათვის სახელმძღვანელოს გრიფირების მიზნებისა და

გრიფირების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველს.

2. კონკრეტული სახელმძღვანელოებისათვის გრიფირების მინიჭებასთან დაკავშირებით შედეგების გამოცხადებასთან ერთად ცენტრი აქვეყნებს იმ ექსპერტთა ნუსხას, რომლებიც განახორციელებენ სახელმძღვანელოების შეფასებას.

3. ინფორმაცია კონკრეტული სახელმძღვანელოს, ან კონკრეტული შეფასების ავტორი ექსპერტების ვინაობის შესახებ გამომცემლობებს არ მიეწოდება

4. კონკრეტული გრიფირების მინიჭების შესახებ განაცხადის წარმოდგენასთან ერთად თითოეული გამომცემელი, უფლებამოსილია მოითხოვოს კონკრეტული ექსპერტის აცხადება, რაც უნდა იყოს შესაბამისად ნერილობით დასაბუთებული. ცენტრი განიხილავს გამომცემლობის მიერ წარმოდგენილ აცილებას და იღებს გადაწყვეტილებას აცილების დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

**მუხლი 11. გრიფირების ჩამორთმევა**

1. ცენტრს აქვს უფლება ჩამორთვას სახელმძღვანელოს გრიფირი, თუ გამომცემლობის მიერ სახელმძღვანელოს საბოლოო გამოცემული ვარიანტი არ შეესაბამება გრიფირებისა წარმოდგენილ ვარიანტს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ გამომცემლობის მიერ სახელმძღვანელოში ცვლილება შეტანილი იქნა ცენტრთან შეთანხმებულისგან განსხვავებული სახით.

2. თუ გრიფირების ჩამორთმევის შემდეგ გამომცემლობა მაინც მოახდენს მისი წიგნების რეალიზაციას საჯარო სკოლაში, ის პასუხისმგებელია იმ შესაძლო ზარალზე, რაც შეიძლება მიადგეს ამ სკოლას, ან ამ სკოლის მოსწავლეებს.

**მუხლი 12. გარდამავალი დებულებანი**

1. გრიფირებული ჩაითვალოს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გრიფირებული ყველა სახელმძღვანელო, ამ დებულების ძალაში შესვლის შემდეგ კონკრეტული კლასის საგნის, საგნობრივი ჯგუფის ან მიმართულების სახელმძღვანელოსათვის კონკურსის გზით გრიფირების მინიჭებამდე.

2. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-მართლებრივი აქტით ჩამოართვას გრიფირი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ იმ საგნის, საგნობრივი ჯგუფის ან მიმართულების სახელმძღვანელოს, რომლის სწავლებაც ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად არ არის გათვალისწინებული კონკრეტულ კლასში.

3. მუხლი 4-ის, მე-3 პუნქტში მითითებული 5 წლიანი ვადა ეხება მხოლოდ 2009-2010 და შემდგომ სასწავლო წლისთვის დამტკიცებულ სახელმძღვანელოებს.

**მუხლი 14. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2009 წლის კონკურსზე წარმოსადგენი სახელმძღვანელოები	
კლასი/ვაი	საბანი
I	ქართული
I	მათემატიკა
I	ბუნებისმეტყველება
I	მუსიკა
I	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, შრომითი სწავლება
I	ფიზიკური აღზრდა
III	ქართული როგორც მეორე ენა
IV	ქართული
IV	მათემატიკა
IV	ბუნებისმცოდნეობა
IV	ფიზიკური აღზრდა
IV	უცხო ენა
IV	მუსიკა
IV	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - შრომითი სწავლება
VII	ქართული
VII	მათემატიკა
VII	ფიზიკა
VII	ქიმია
VII	ბიოლოგია
VII	ისტორია-გეოგრაფია-სამოქალაქო
VII	მუსიკა
VII	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - შრომითი სწავლება
VII	უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)
X	ქართული
X	მათემატიკა
X	ფიზიკა
X	ქიმია
X	ბიოლოგია
X	ისტორია
X	გეოგრაფია
X	სამოქალაქო განათლება
X	მუსიკა
X	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - შრომითი სწავლება
X	უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)
XI-XII	პრაქტიკული სამართალი
XI-XII	ბიოლოგია
XI-XII	მუსიკა
XI-XII	ხელოვნება (თეორიული კურსი)
XI-XII	ხელოვნება (პრაქტიკული კურსი)

# საბანანათლებლო კვირეული

გაზაფხულის კვირადილი საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის – ბატონ ნიკა გვარამიას ინიციატივით საქართველოს 1921 წლის ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი საგანმანათლებლო კვირეული და ლიტერატურული აქცია ჩატარდა.

კვირეულმა წარმატებულად ჩაიარა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლაში (დირექტორი – თამაზ ცხადაძე, სასწავლო ნაწილის გამგე – ნუნუ დონენიძე), სადაც 20-დან 25 თებერვლის ჩათვლით შემდეგი ღონისძიებები გაიმართა: თეორიული კონფერენცია და ექსკურსია (ისტორიის მასწავლებლები: მაკა გუბელაძე, მაკა ფარულავა, ფატი არველიძე), ღია გაკვეთილი საქართველოს ისტორიაში (მასწავლებელი – ჯემალ ბურჯანაძე), შემოქმედებითი წერა – „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის დღე – 25 თებერვალი“ (ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, ხელმძღვანელი – ლალა გელაშვილი), ლიტერატურული კომპოზიცია რუბრიკით „თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით, შემოდოდა სიკვდილი ცელით“ (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – ზელა ბეჟია), სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა (ხატვის მასწავლებელი – მარსელინა მანაგაძე), საჯარო ლექცია (აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი – ყორა მჭედლიძე). გერმანული ენის კლუბის წევრებმა კი ჩატარეს კონფერენცია „მე ვარ საქართველოდან“ (მასწავლებლები: ირმა კვეტენაძე, თონა არეშიძე). ამ ღონისძიებათა ამსახველი მასალებითა და ფოტოსურათებით კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი შექმნა სკოლის საუკუნოვანი მატრიანეს.

ამჯერად, ყურადღება გვიანდა გაგამახვილოთ IX<sup>3</sup> კლასში (ხელმძღვანელი – რუსუდან კვალიაშვილი) ჩატარებულ ღია გაკვეთილზე (ისტორიის მასწავლებელი – ჯემალ ბურჯანაძე) – საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1920-21 წლებში. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს გაკვეთილისათვის მასწავლებლისა და მოსწავლეთა ძალისხმევით შექმნილი გარემო. მიზნდევლსა და თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიაში წარმოდგენილი იყო უნიკალური საარქივო მასალები, ყურნალ-გაზე-



თები, ფოტოსურათები, რუკები. ისტორიული თარიღების შესაბამისი კინოკადრების ფრაგმენტების ჩვენებას შესანიშნავად ხელმძღვანელობდა ამავე სკოლის საინფორმაციო მენეჯერი გიორგი უგრეხელიძე. თვალსაჩინოდ იყო გამოკვეთილი **გაკვეთილის მიზანი** – 1920-21 წლებში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გაცნობა-შეჯამება და პირველი რესპუბლიკის დაცემის მიზეზების გამოკვეთა-განალიზება. **მეთოდები** – გონებრივი იერიში, დისკუსია, მუშაობა წყვილებსა და ჯგუფებში, შეკითხვითა სახეები (განსჯითი, მასტიმულირებელი, კვლევითი, შემაჯამებელი).

ისტორიის მასწავლებელმა, ჯემალ ბურჯანაძემ, დოკუმენტური მასალების ინტერპრეტაციის ფონზე, გააანალიზა 1920-21 წლებში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, შემდეგ კი მოსწავლეებმა, შესაბამის ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და თავიანთი შეხედულებების ფონზე, ისაუბრეს პირველი რესპუბლიკის დაცემის მიზეზებზე, ხაზი გაუსვეს, თუ როგორ იყო დასავლეთის ქვეყნების პოზიცია და პარალელი გაავლეს აგვისტოს მოვლენებთან. გაკვეთილის ამ ეტაპზე მოსწავლეებმა გამოავლინეს კომუნიკაციის, შემოქმედებითი აზროვნების, საკუთარი აზრის გამოთქმის, მსჯელობისა და ანალიზის უნარ-ჩვევები. შემდეგ მუშაობა წარიმართა ჯგუფებში (კლასი გაიყო 5 ჯგუფად) მოსწავლეები მუშაობდნენ შეთანხმებულად, ყველა წევრი იყო ჩართული დავალების შესრულებაში და, რაც მთავარია, მათ ზუსტად დაიცვეს რეგლამენტი (10 წუთი). პრეზენტაციამდე ორმა მოსწავლემ აუდიტორიას გააცნო საარქივო მასა-

ლებიდან ფრაგმენტები, რის შედეგადაც არ შენელებულა მსმენელთა ყურადღება. მოსწავლეებმა წერილობით შეასრულეს დავალებები, ხოლო ჯგუფის ლიდერებმა მოახდინეს მათი პრეზენტაცია. შეიძლება გადაუჭარბებულად ვთქვათ, რომ გაკვეთილის ამ მომენტში მოსწავლეები ვიხილეთ მომავალი პოლიტიკოსების ამპლუაში. გამორჩეული იყო **გვიგზუცხელების** მოსაზრებები არსებული რთული ვითარებიდან გამოსვლის გზებზე, კერძოდ, საგარეო ფაქტორზე, რომ უნდა გაძლიერდეს ევროპის ქვეყნების ზეწოლა რუსეთზე, აუცილებელია კავკასიის ხალხების გაერთიანება (გამომდინარე ზვიად გამსახურდიას მოდელიდან „კავკასიური სახლი“), მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლება და კანონის უზენაესობა.

სასწავლო პრეზენტაციის ჯგუფური შეფასებისას მაღალი ქულები დაიმსახურეს: **ირაკლი წირღვაგამი, ცირა შვანგირაძე** და **ანი გოგიბერაშვილი**. ინდივიდუალურად წარმოჩინდნენ: **გვანცა ჩორგოლაშვილი, შოთა შვანგირაძე, თონა ფარულავა, გუგა ობოლაძე** და **ბექა უკუაბაძე**. გამოყენებულ იქნა აგრეთვე თვითშეფასების ფორმა. ამ კუთხით მოსწავლეები საკმაოდ სამართლიანი და კრიტიკულნი აღმოჩნდნენ.

განსაკუთრებით გვიანდა ხაზი გაუსვათ გაკვეთილის ორ მომენტს:

როდესაც საკითხი ეხებოდა ქართველი იუნკრების გმირობას, მასწავლებელმა გამოკვეთა – ირინა სხირტლაძე (ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსის „ირინოლას“ გმირი) და მიხეილ კვალიაშვილი (ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, IX<sup>3</sup> კლასის ხელმძღვანელის – რუსუდან კვალი-

აშვილის დიდი წინაპარი). აღინიშნა აგრეთვე ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა თავდადება იმ განსაცდელის ფაში.

მოსწავლეებმა ისტორიულ მიმოხილვას დაუკავშირეს ლიტერატურული მასალა. კოლაუ ნადირაძის ცნობილი ლექსი „1921 წლის 25 თებერვალი“ მხატვრულად ნაიკითხეს – **შოთა ერისთავმა და თათია გორგაძემ**. გაკვეთილმა საინტერესოდ ჩაიარა და დიდი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრე აუდიტორიაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პედაგოგ ჯემალ ბურჯანაძის პროფესიონალიზმი, თანამედროვე ინტერაქტიური მეთოდებით გაკვეთილის მართვისა და მოსწავლეებში ეპოქის განცდის აღძვრის ხელოვნება და, რაც მთავარია, საგანმანათლებლო შედეგის ნათელყოფა – რუსეთის აგრესიული პოლიტიკის დაგმობა, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად გზებზე ყურადღების გამახვილება. ამ გაკვეთილმა დაადასტურა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის – ბატონ ნიკა გვარამიას სიტყვების ჭეშმარიტება: „ყველა ბავშვმა იმაზე მეტი გაიგო რუსული ოკუპაციის შესახებ, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ვითარებაში შეეძლებოდა“.

მარინე შკლუბა

P.S. მიუხედავად გაკვეთილზე დასწრებით და სკოლაში ჩატარებული ევრო რემონტით აღძრული დადებითი ემოციებისა, რატომღაც სევდის გრძობა დამეფულა და გამახსენდა ჩემი მოსწავლეობის პერიოდი, კერძოდ 70-იანი წლები, როცა კომუნისტური კონსტიტუციის გამო იდევნებოდა თავისუფალი აზროვნება და მოქცეული ვიყავით მკაცრ სტანდარტებში. ნაცვლად იმისა, რომ კოლაუ ნადირაძის ეს შესანიშნავი ლექსი ესწავლებინათ (მისი არსებობა არც ვიცოდით) აღფრთოვანებითა და დიდი ემოციებით ვამბობდით ერთ-ერთი ლექსის (ავტორი აღარც მახსოვს) სტრიქონებს: „25 თებერვალი გათენდება ზვალ, თებერვალი საქართველოს გაზაფხული ხარ“. აქ თითქოს არაფერია უარყოფითი, მაგრამ გონებაში ხომ მძაფრად გვექონდა ჩაბეჭდილი, რომ გაზაფხულში ბუნების გამოღვიძება კი არ იგულისხმებოდა, არამედ – თბილისის თავზე საბჭოთა რუსეთის დროშის აფრიალება, არგუმენტად კი სერგო ორჯონიკიძის ცნობილი (ამჟამად სა-მარცხინო) დეპუტის ტექსტს ვიყენებდით.

# „თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით, შემოდოდა სიკვდილი ცელით“

ჩვენი წარსული გრანდიოზული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ეპოქაა. შეუძლებელია, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი ასცდეს ამ ეპოქალურ მოძრაობას.

1921 წლის 25 თებერვალი ერთ-ერთი უმძიმესი თარიღია საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს კიდევ ერთხელ აფრიალდა უცხო ქვეყნის სახელმწიფო დროშა თბილისის თავზე. დავკარგეთ ღვთისაგან ნაბიჯები თავისუფლება, რომლის მოსაპოვებლად საუკუნეები ვიბრძოდით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით გამოცხადებული შემოქმედებითი კვირეული „საქართველოს ოკუპაცია“ საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში ჩატარდა. გამოწვევის არც ტყიბულის რაიონის კურსების საჯარო სკოლა იყო (დირექტორი **თამარ ზარნაძე**). აღნიშნულ თემაზე, სათაურით: „თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით, შემოდოდა სიკვდილი ცელით“ ჩატარა გაკვეთილი XI კლასში ისტორიის მასწავლებელმა, **ნატო ბერეკაშვილმა**. მან შესავალში მიმოიხილა 1918-1921 წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. მოსწავლეებს წინასწარ ჰქონდათ დავალებული, მოეძიათ ამ მოვლენისა და მასთან დაკავშირებული წინა პერიოდის ისტორიული ამბები. ინტერნეტის მეშვეობით მოიპოვეს, აგროვეს, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ამსახველი კადრები, რომლებიც აჩვენებს გაკვეთილის მსვლელობისას. XI კლასის მოსწავლეებმა დაამზადეს გაზეთი სათაურით „თავისუფლება ლომთა



ხვედრია“. პრეზენტაცია გააკეთეს **ირინა კვიციანიშვილი, ხატია ჩუბინიძე, თონა გორგაძე**. გაიმართა დისკუსია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. მოსწავლეებმა: **ნინო კაჭარავამ, ნინო გაბადაძემ, ინა ინაკაეძემ, გრიგოლ ნიშნიანიძემ, ჯონი ქაშიბაძემ, დავით ბერეკაშვილმა** ლოკალური დასკვნები გააკეთეს საქართველოში მიმდინარე და მე-20 საუკუნის ოქტომბრის წლების პოლიტიკური პროცესების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლეს აერთიანებდა ერთი აზრი – 1921 წლის 25 თებერვალი ერთ-ერთი შავ-ბნელი დღე იყო

მრავალტანჯული სამშობლოსათვის. გთავაზობთ ნაწყვეტს მათი დისკუსიიდან: „ყოფდა-ნია კი თავისი „თანამებძორობით“ და „თანაკრახლებით“ ბათუმს მისულიყო, ზღვაზე გასულიყო და იტალიურ გემზე ასულიყო. საქართველოს განძიც წინასწარ აეტანათ გემზე. და ყოველივე შავდა სიზმარს.“

სიზმარივით იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოვლინებაც და გადავლინებაც.

მაინც რამოდენა „იღბალი“ დაჰყოლია საქართველოს, კობა და სერგო რომ გასჩენია! ყოველი „სიკეთე“ რომ ქართველებს დასდევს ქუდებდაც, ხოლო საქართველო, ლენინ-

ნისგან მონათლულ „ხალხთა საპრეობილედან“ ამ სამი წლის წინათ თავდახსნილი, ახლა მისი „გაცხოველებული“ და „გაუცხოვებულ“ შვილების წყალობით, ისევ ლენინურ კოსმოპოლისში შებრუნებულიყო.

დაიხაც რომ „იღბლიანი“ ყოფილა საქართველო!..

ოდეს საქართველოდან გაქცეულიყო პირველი ცვლა ანტილიელებისა და მოსულიყო მეორე ცვლა ანტილიელთა – უფრო მტკიცენი, მძინვარენი, უწყალონი, უღმერთონი.

და ასე – ერთ დროს ღვთისმშობლის წილხედობილი საქართველო ახლა ამ უღვთოთა „ხედომილი“ გამხდარიყო.

სირცხვილის მწვერვალზე „ბრწყინავდა“ საქართველო“.

საკლასო ოთახში მოეწყო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ დაღუპულ მეთაურთა კუთხე და წუთიერი დუმილითაპატივი მიეგო მათ ხსოვნას.

გაკვეთილის თავისებური ელფერი შესძინა ანსამბლ „ქართული ხმების“ სიმღერებმა: „მამულისათვის“, „შავლეგო“, „ჩემო კარგო ქვეყანა“.

გაკვეთილის ბოლოს ნატო ბერეკაშვილმა მოსწავლეებთან ერთად შეჯამა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მნიშვნელობა და შედეგები, საქართველოს ოკუპაციის ისტორიული მნიშვნელობა. შემოქმედებითმა კვირეულმა მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

გიული აბუსაძე

კურსების საჯარო სკოლის XI კლასის ხელმძღვანელი

# შეხვედრა ომბამოვლილ მეომრებთან

IV ბრიგადის შტაბის უფროსს, მაიორ ზაზა ჯანჯალიას დაფურეკე და ვაცნობე, რომ ვაზიანის №2 საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა 1921 და 2008 წლებში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ მამულები და მათი შვილები მიძღვნილი კვირეული და ამასთან დაკავშირებით სკოლის უფროსკლასელებსა და მათ პედაგოგს ცხინვალში ომგამოვლილ ვაჟკაცებთან შეხვედრის დიდი სურვილი ჰქონდათ. იგი უყოყმანოდ დამთანხმდა და დასძინა: „მერწმუნეთ, ძალზე საინტერესო ღონისძიება ჩავიფიქრებთ და ჩვენც ისეთ ბიჭებს გამოვიგზავნი, რომელთა მხრებზეც უშუალოდ გადაიარა ომის ქარიშხალმა და რომელნიც მომსწრენი არიან იმ საშინელებებისა, რასაც თქვენი მოსწავლეები საინფორმაციო საშუალებებით თუ ნახვდნენ ან ყურმოკრულის დონეზე მოისმენდნენ“.

შეხვედრის ვადად დავთქვი კვირეულის ერთ-ერთი დღე – პარასკევი, 20 თებერვალი. სანამ ძირითად სათქმელზე გადავიდოდე, აღვნიშნე, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქამდეც დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ, რომლის დასტურიც გახლდათ 2007-2008 სასწავლო წლის განმავლობაში დანერგილი სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩატარებული ლექცია-საუბრები სამხედრო ხელოვნებაზე, ჯარისკაცის ყოველდღიურ ცხოვრებასა და პირად მაგალითებზე, პატრიოტიზმსა და მამულიშვილობაზე. შეხვედრები მე-

ომრებთან, რომელსაც მაშინ I ბრიგადის ოფიცრები ახორციელებდნენ, სამწუხაროდ, ამ სასწავლო წელს აღარ გრძელდება, ბრიგადის მიერ დისლოკაციის ადგილის გამოცვლის გამო. მიუხედავად ამისა, ჩვენი სკოლის მოსწავლეები დღესაც იმ ნარეული შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებიან. ეს იყო კითხვა-პასუხის უშუალო ფორმა, ანუ საინტერესო დიალოგი მოსწავლეებსა და ახალგაზრდა ოფიცრებს შორის, რომლებიც 5 თუ 10 წლის წინ თავად უსხდნენ სასკოლო მერხებს, დღეს კი პირადი მაგალითების მოშველიებით ჩვენს აღსაზრდელებს ესაუბრებოდნენ სამშობლოს სიყვარულზე, პატრიოტიზმზე და საჭიროების შემთხვევაში – თავგანწირვის წმიდანანმიდა მისიის შესახებ. ასე რომ, ქართველ მეომრებთან შეხვედრის ტრადიცია, მათგან მიღებული დადებითი მუხტის ხიბლი ჩვენი სკოლის უფროსკლასელებს უკვე ჰქონდათ გამოცდილი, 20 თებერვალს კი მოუთმენლად ელოდნენ მათ, ვინც ცხინვალის ომის დროს, რუსეთის აგრესიას სასწაულებრივად გადაურჩა.

სასკოლო კლუბში თავი მოიყარეს VIII-IX-X-XI და XII კლასის მოსწავლეებმა, თავიანთ პედაგოგებთან და კლასის დამრიგებლებთან ერთად. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ: IV ბრიგადის 42-ე ბატალიონის მეთაური, კაპიტანი მერაბ კიკაბიძე, ამავე ბატალიონის შტაბის უფროსი, უფროსი ლეიტენანტი ამირან ცერცვაძე და ასმეთაური, ლეიტენანტი ბუჟან მეტრეველი. საპატიო სტუმართაგან პირველმა ბა-

ტალიონის მეთაურმა აილო სიტყვა. მან მადლობა გადაუხადა სკოლის ხელმძღვანელობას მოწვევისათვის, ასევე დამსწრე საზოგადოებას – მობრძანებისათვის და ნარეული თანამებრძოლები; მოკლედ მიმოიხილა მე-4 ბრიგადის და, კერძოდ, 42-ე ბატალიონის მიერ განვლილი საბრძოლო გზები და სანამ ცხინვალის მოვლენებზე გადავიდოდა, აღნიშნა: „დღეს უსწავლელად ვერც ერთ სფეროში ვერაფერს მიაღწევ. სწავლასა და ნიჭთან ერთად უნდა ვიცოდეთ დროის ფასი და ვიყოთ შრომისმოყვარენი... დროს უქმად ნუ დაკარგავთ, სანამ სკოლის მერხებს უსხდხართ, ეცადეთ, ათვისოთ ყველაფერი, რასაც თქვენი საყვარელი მასწავლებლები გასწავლიან...“

შემდეგ ბატალიონის მეთაურმა ცხინვალის მოვლენები გაიხსენა. დარბაზში საოცარი სიჩუმე ჩამოვიდა... ბატონი მერაბი ეპიზოდულად აცალიბებდა იმ სურათებს, რომლის თვითმხილველიც და უშუალო მონაწილეც იყო მეგობრებთან ერთად. ბავშვები სულგანაბლნი უსმენდნენ, აქა-იქ მოკრძალებულ კითხვებსაც ჩაურთავდნენ. ბატალიონის მეთაურმა სიტყვა თავის მოადგილეებს გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცხინვალის იმ საშინელებების დროს დღე და ღამე ერთად იყვნენ, მაინც ცალ-ცალკე ყვებოდნენ სხვადასხვა ეპიზოდებს, ავსებდნენ ერთმანეთს სათქმელს, ისხენდნენ თავსგადახდენილი სისხლით შეღებილი ჯოჯოხეთური დღეების ეპიზოდებს, რომლის თანამონაწილენიც თვითონ იყვნენ და



რომელთა თვალწინაც იხილებოდნენ მათივე მეგობრები, მათნაირად გულანთებულნი და „უმიშარნი, ვითარცა უხორცონი...“ მოსწავლეთა ის ნაწილიც კი, რომელიც დასაწყისში შეიძლება მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო თუ უსმენდა, დიდი ინტერესით ჩაერთო დიალოგში. რამდენიმე წუთში, თითქმის, ყველას თვალში ცრემლები აკიაფდა... ბატალიონის მეთაურის კითხვაზე – იმსახურებენ თუ არა სწავლის დამთავრების შემდეგ ქართულ ჯარში, ხუთივე კლასის წარმომადგენელთა პასუხი იყო მოკლე და დამაჯერებელი: დიახ! ეს დასტური მოსწყდა არა მხოლოდ ვაჟების, არამედ გოგონების ბაგეებსაც... საპატიო სტუმრებმა ხომ არაერთი გმირობისა და თავგანწირვის მაგა-

ლითი მოიყვანეს ქართულ ჯარში მომსახურე ქალთა პერსონალის მხრიდან. ისინი ხომ მრავლად არიან ქართულ საჯარისო ფორმირებებში – როგორც სამედიცინო, ისე სხვა სპეციალურ სამსახურებში. შეხვედრის დასასრულს, მეტორმეტეკლასელმა ვლადიმერ ჯიქიძემ თხოვნით მიმართა დარბაზს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ცხინვალის ომში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნისადმი. საპატიო სტუმრებმა დარბაზში დამსწრეთ საჩუქრად გადასცეს მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ჟურნალები, რომლებშიც ქართული ჯარის დღევანდელი ახალგაზრდა მამულიშვილები ცალკე ბროშურად გამოცემული ცხინვალის ომის ამსახველი წიგნიც. მართალი აღმოჩნდა IV ბრიგადის შტაბის უფროსი, მაიორი ზაზა ჯანჯალია: „შეხვედრა არა მარტო საინტერესო იყო, უფრო მეტი, იმ დღეს სულიერად ამაღლდა დიდი და პატარა!..“

და აი, დამშვიდობების ჟამიც დადგა... ავტოგრაფები, სამასოვრო ფოტოები და, რაც მთავარია, პირობა, რომ ასეთი შეხვედრები მომავალში აუცილებლად გაგრძელდება. მიდიოდნენ ომგამოვლილი ვაჟკაცები და მათ მიაცილებდათ ალერსითა და სითბოთი შეზავებული მოსწავლეთა ცრემლიანი, მაგრამ მომავლის რწმენით აღსავსე თვალები.

**ზურაბ მინდიაური**  
გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის №2 საჯარო სკოლის დირექტორი



## „თებერვლის ქარი, თებერვლის ქარი აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს“

(თავისუფალი იმპროვიზაცია თემაზე: 1921 წ. 25 თებერვალი)

საბჭოთა ცხოვრებისეული ეპიზოდი, ფრაგმენტი კინოფილმიდან „მონანიება“: ფეხის ნაბიჯის ხმა კიბეებზე, სიჩუმე, შიში... კარზე კაკუნია: აქა მშვიდობა! – ისმის ცინიზმით წარმოთქმული ფრაზა. დაპატიმრება, გადასახლება, დახვედრა, „უბრალოდ“ სიკვდილი და გიჟად შერაცხვა... ჩამოთვლა ადვილია, დაფიქრება – ძნელი, წარმოდგენა კი – შეუძლებელი. მაგრამ არის რაღაც, რაც გაგრძობინებს მთელი არარაობის რაობას, შენთვის არარსებულის არსებობას და გაგაჟურთოლებს 25 თებერვლის თოვლის შემყურეს, მოუსმენ მდუმარე სიონს და მიხედები, რომ:

„თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით შემოდისოდა სიკვდილი ცელით!“  
იმ დროს, როცა თბილისს თალხი ებურა, ვილაცას კი თებერვლის ქარი სულის იებს უჭკნობდა, ვილაცა გაიძახოდა:  
„25 თებერვალი გათენდება ხვალ, თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარ.“  
გაიძახოდა ამ მარაზმს და „ეგაზაფხულებოდა“, „ეგაზაფხულებოდა“ შუა თებერვალში!!!

„თებერვლის ქარი, თებერვლის ქარი აჭკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს.“  
გალაკტიონს არ მიუთითებია, რომ ლექსში ნახსენები თებერვალი სწორედ საქართველოს გასაბჭოების საბედისწერო თებერვალს უკავშირდება, მაგრამ დამერწმუნეთ, არც იმიტომ დაწერდა სულის იები მიჭკნებაო, რომ თებერვლის თვეში თოვლი მოვიდა და შესცივდა. ამიტომ ესეც, როგორც სხვა სიმბოლური ლექსები, ამოუხსნელი რჩება. მათი ნაკითხვისას კი შეგვიძლია მხოლოდ ვიგრძნოთ, ვიგრძნოთ პოეტის გულის-

ცემა. მარინა ცვეტაევა იტყოდა, ჩემთვის მთავარი ის კი არ არის, მე რა ვიგულისხმე ჩემს ნაწერებში, არამედ ის, თქვენ რა წაიკითხეთო. მე კი, XXI საუკუნის მკითხველმა, ამ ლექსში ის სისხლშემხმარი 25 თებერვალი დავინახე.  
ხოდა XX საუკუნის ნაბოლარამ, ჯერ კიდევ რომ დამრჩენია სისხლის ლაქა თეთრ პერანგზე, გადავწყვიტე გამომეღვიძა, გამომეღვიძა ყვირილით, მუშტების ქნევით, პროტესტით!!! და გამახსენდა აკაკის ლექსი...

**ნაპალაძე სამხროს**  
დამეხსენი ჩრდილოელო, რა მაქვს შენთან საზიარო. თვით ოხერო, მოუვლელო, მე ვით გინდა მაზიარო.  
დღე და ღამე უნებურად გეყინება ტვინი თავში. უნდა ძალაუნებურად ეხვეოდე დათვის ტყავში. არაფრით გავს შენს ხმელ სოროს მხარე ჩემი, ეს მდიდარი. არა, არ გამომადგება შენისთანა ბანძი ქმარი.  
ჭკვიანი კაცი იყო აკაკი...  
**მარიამ გომიჩაიშვილი**  
თბილისის მე-20 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე

მათემატიკის განხილვა

# ალმორჩენით სწავლა მათემატიკის გაკვეთილებზე

ალმორჩენით სწავლის შესახებ მრავალი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი იყო დაინტერესებული წლების მანძილზე.

ეს გამოკვლევაზე დაფუძნებული მეთოდი, რომელიც უძველესი დროიდან არის ცნობილი. ისეთი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ: რუსო, პესტალოცი, დიუ, სოკრატე, ფსიქოლოგები – პიაჟე, ბრუნერი, მხარს უჭერდნენ განათლებაში ამ მეთოდის გამოყენებას. იგი ხელს უწყობს შემეცნებითი აზროვნების პროცესების განვითარებას.

მიუხედავად ამისა, მას ნაკლებად იყენებენ სასწავლო პრაქტიკაში. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მასზე დიდი დროის დახარჯვა არ ღირს, მაგრამ, თუ ამ მეთოდით სწავლებას სისტემატურ ხასიათს მივცემთ და პროგრესს დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ტყუილად არ გვიშრომია (მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მას ბევრი დრო მიაქვს გაკვეთილზე და სხვას ველარაფერს ასწრებენ).

მათემატიკის მასწავლებლები არაერთხელ დავმდგარვართ იმ პრობლემის წინაშე, რომ განვლილი საკითხები მოსწავლეს მალე დავიწყინა და ვადანაშაულებთ, როგორ დაგავიწყდაო. ეს სწორედ იმის ბრალია, რომ სწავლება არ მოიაზრებს მოსწავლის მიერ ამა თუ იმ კანონზომიერების, ალმორჩენის გზით სწავლებას. მოსწავლეები არ ეჩვენებენ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმას, იმიტომ რომ სხვისი კრიტიკისა ეშინიათ და ასეთი „კრიტიკოსები“ მრავლად მოიძებნებოდა მის გარშემო).

კონსტრუქტივიზმის თეორიის მიხედვით, სწავლა ფოკუსირებულია სასწავლო გარემოზე, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, აავონ ცოდნა და განიხილონ იგი სხვებთან ერთად.

ალმორჩენით სწავლის მეთოდის გამოყენებისათვის მასწავლებელი წინასწარ ამზადებს კითხვებს, რომელთა დახმარებით მოსწავლე ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის ალმორჩენისაკენ. მასწავლებელი აძლევს მას სტიმულს და რთავს აქტიური კვლევის პროცესში.

ალმორჩენით სწავლის პროცესი მოიცავს ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას და მათ გამოცდას.

ამ მეთოდით მუშაობის დროს მოსწავლე ასრულებს ისეთ სააზროვნო ოპერაციებს, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, დასკვნების გაკეთება, ჰიპოთეზების წამოყენება, ჰიპოთეზების შესამოწმებლად კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, გამოძიება, გამოგონება და ალმორჩენა.

- ალმორჩენით სწავლას ბრუნერი შემდეგი ლოგიკური ნაბიჯებით ახასიათებს:
  1. საკითხის ფორმულირება და გააზრება;
  2. მაგალითების შერჩევა, შესაბამისი დაკვირვებების ჩატარება;
  3. ჰიპოთეზების წამოყენება (ინტელექტუალური მიხედვით, რომელიც დაკვირვებებს ემყარება);
  4. ჰიპოთეზების დამტკიცება და უარყოფა (ექსპერიმენტის, ტესტების, სხვა დაკვირვებების შემუშავება-ჩატარება);
  5. ახალი ინფორმაციის გამოყენება-განზოგადება.

ზოგიერთი მკვლევარი აკრიტიკებს ალმორჩენით სწავლას და გამოთქვამს ეჭვს იმის შესახებ, რომ ეს პროცესი იწვევს მოსწავლის გონების ზედმეტ დატვირთვას და მასწავლებლის მიერ პრობლემებისა და მცდარი შეხედულებების გამოვლენას. მიუხედავად კრიტიკისა, სარგებლობა, რომელიც მოაქვს ალმორჩენით სწავლას, მოსწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

- სარგებლობა, რომელიც მოაქვს ალმორჩენით სწავლას მოსწავლეებისათვის:**
  - ხელს უწყობს აქტიურ ჩართულობას;
  - აღძრავს მოტივაციას;
  - აძლიერებს პასუხისმგებლობას, დამოუკიდებლობას;
  - ავითარებს შემოქმედებით და პრობლემის გადაწყვეტის უნარ-ჩვევას;
  - იყენებს როგორც საკუთარ, ასევე სხვების გამოცდილებას;
  - ხელს უწყობს მოსწავლის თვითრეალიზაციის პროცესს;
  - მოსწავლე სწავლობს, თუ როგორ ისწავლოს;
  - ხელს უწყობს თანამშრომლობით ურთიერთობების ფორმირებას;
  - სწავლის პროცესი სახალისოდ და საინტერესოდ მიმდინარეობს;
  - ზრდის მოსწავლეებში საკუთარი თავის რწმენას და ა. შ.

ძნელია მკვლევარი ზღვარი გაავლო პრობლემების გადაწყვეტასა და ალმორჩენით სწავლას შორის. ორივე შემთხვევაში მოსწავლეებს შესასწავლი მასალა მზა სახით არ ეძლევათ. ალმორჩენით სწავლისათვის დამახასიათებელია ექსპერიმენტირება, ხოლო პრობლემური სწავლებისას პრობლემური სიტუაციის ანალიზი და პრობლემის გადაჭრა.

### პრობლემის გადაჭრის და ალმორჩენით სწავლის მახასიათებლები

<p><b>პრობლემის გადაჭრა</b> გულისხმობს ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრებას, რომელიც გადაწყვეტს პრობლემას.</p>	<p><b>ალმორჩენით სწავლის</b> პროცესი მოიცავს ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას და მათ გამოცდას.</p>
<p>სშირად ადამიანები პრობლემის გადასაჭრელად გამოცდიან მრავალ გზას და ცდისა და შეცდომის მეთოდით, ცდილობენ სწორი გზის პოვნას.</p>	<p>მოსწავლე მოუხმობს თავის ძველ გამოცდილებას და ახლანდელ ცოდნას იმისათვის, რომ ალმორჩენით სწავლით წყვეტილებას.</p>
<p>სასწავლო პროცესში პრობლემის გადაჭრა მიღებულია კრიტიკული და შემოქმედებითი გზით:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პრობლემის განსაზღვრა;</li> <li>2. პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა;</li> <li>3. პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მოზილიზება;</li> <li>4. გადაჭრის შესაძლო გზების ძიება; პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა;</li> <li>5. შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება;</li> <li>6. შედეგების შემოწმება და შეფასება.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საკითხის ფორმულირება და გააზრება;</li> <li>2. მაგალითების შერჩევა და შესაბამისი დაკვირვებების ჩატარება;</li> <li>3. ჰიპოთეზების წამოყენება (ინტელექტუალური მიხედვით, რომელიც დაკვირვებებს ემყარება);</li> <li>4. ჰიპოთეზების დამტკიცება და უარყოფა (ექსპერიმენტის, ტესტების, სხვა დაკვირვებების შემუშავება-ჩატარება);</li> <li>5. ახალი ინფორმაციის გამოყენება — განზოგადება.</li> </ol>

ახლა ვნახოთ, თუ როგორ განიხილავს დ. პოია თავის წიგნში „როგორ ამოვხსნათ ამოცანა“ ამოცანის ამოხსნის პროცესს. იგი ამოხსნის ოთხ ეტაპს გამოყოფს:

- 1) დასმული ამოცანის გაგება;
  - 2) ამოხსნის გეგმის შედგენა;
  - 3) შედგენილი გეგმის შესრულება;
  - 4) შემოწმება, მიღებული ამონახსნის შესწავლა.
- სშირად, მოცემული ამოცანის ბოლომდე გაგება, ამოცანის ბოლომდე გააზრება არ მიიღწევა.

რაც შეეხება მეოთხე, უკანასკნელ ეტაპს, იგი უმრავლეს შემთხვევაში არ სრულდება (მიზეზი ზემოთ დავასახელებთ).

- სწორედ მიღებული შედეგი უნდა გამოვიყენოთ ამოხსნის ძიებისათვის.**
- ამოცანის ამოხსნის ძიების ხერხების სწავლება ხასიათდება შემდეგი თავისებურებით:**
  - 1) სხვადასხვა ხერხით ამოცანის ამოხსნის ძიების სწავლება ხორციელდება კონკრეტული ამოცანის ამოხსნის მეშვეობით;
  - 2) ამოცანის ამოხსნის ძიების ახალი ხერხი მოსწავლეებს თავს არ უნდა მოეხებოდეს. მოსწავლეები უნდა მივიყენოთ ამოცანის ამოხსნის ხერხის დამოუკიდებელ ალმორჩენამდე;
  - 3) ძიება უნდა ვმართოთ იმ კითხვების მეშვეობით, რომლებიც წარმოიშობა ამოცანის ამოხსნის თითოეულ ეტაპზე ისე, რომ მსგავსი ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეები თავად მივიღწენ ამ კითხვებამდე;
  - 4) უნდა გამოვიყენოთ „ხმამალალი მსჯელობის“ ხერხი;
  - 5) ამოცანის ამოხსნის შემდეგ უნდა დავუბრუნდეთ ამოხსნის პროცესს, გავაანალიზოთ იგი, გამოვავლინოთ გამოყენებული ძიების ხერხი, განვმარტოთ და განვაზოგადოთ იგი;
  - 6) ამოცანის ამოხსნის ძიება უნდა იყოს ჯგუფური, კოოპერატიული;
  - 7) მასწავლებელმა თანდათან უნდა შეამციროს ამოცანის პროცესში ჩარევა, მისი როლი ფასილიტაციით (მხარდაჭერით) უნდა შემოიფარგლოს.

განასხვავებენ ამოცანის ძიების ორ სახეს: **ბრმა ძიება**, როცა უცნობია, არჩეული ხერხი პერსპექტიულია თუ არაპერსპექტიული და **მონესრიგებული** (ანუ ევრისტიკული) ძიება, რომელიც ეყრდნობა ამოცანაში მოცემულ ევრისტიკულ ინფორმაციას. ევრისტიკული ამოხსნის დროს, იმისათვის რომ შევამციროთ ამოხსნის მოცულობა, უნდა უკუვაგლოთ ცხადი უპერსპექტივო მიმართულება.

ეს როგორ მოვახერხებთ? საჭიროა, ჩავატაროთ ამოხსნის ძიების სხვადასხვა მიმართულებით ანალიზი და რაც უფრო მეტი რაოდენობის ძიების მიმართულება დაექვემდებარება ანალიზს, მით უფრო შემცირდება ამოცანის ამოხსნის პროცესის მოცულობა (დაბალ კლასებში ასეთი ძიების მიმართულებების რაოდენობა სასურველია მცირე იყოს. თუ მოსწავლეები არ არიან მიჩვეული ალმორჩენით სწავლას, მაშინ არც მალე კლასებში რეკომენდებული ძიების მიმართულებების რაოდენობის გაზრდა).

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეალურად, უმრავლეს შემთხვევაში, როცა მოსწავლეები იყენებენ ძიების ბრმა გზას – იყენებენ ევრისტიკული ძიების ხერხსაც, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ პერსპექტიულ მიმართულებათა ანალიზს, ამოსახსნელ ამოცანაში ჩადებულ ევრისტიკულ ინფორმაციას. ამ დროს ამოცანის ამოხსნის პროცესი ხშირ შემთხვევაში ჩიხში შეედის, ანუ დაუმთავრებელი რჩება, დიდი მოცულობის შრომატევადი გამოთვლებისა და გარდაქმნების გამო (არც ასეთმა შემთხვევებმა უნდა შევამინოს, რადგან მხოლოდ მათზე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გამოხშირვისა და დასაბუთებული გამოცდების გზების მიგნება და ჩიხში შესვლის შემთხვევების თავიდან აცილება).

ამოცანის ამოხსნის პროცესი, როგორც წესი, რამდენიმე ნაბიჯისაგან შედგება. ამოცანის ამოხსნის საერთო მეთოდი ეს არის ამოცანის ამოხსნის მთლიანი პროცესი, ცალკეული ხერხი კი – ამ პროცესის თითოეული ნაბიჯი. ამას გარდა, საჭიროა განვასხვავოთ ხერხი, რომელიც მოიცავს რომელიმე ფორმულის, წესის, გარდაქმნის და ა. შ. გამოყენებას, ხერხისაგან, რომელიც გვაძლევს ვარაუდს, ჰიპოთეზას – ასეთი ხერხის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.

„ძიების ხერხის“ ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სახელდობრ ისეთი ხერხი, რომელიც წარმოშობს ვარაუდს, გვეხმარება ალმოვაჩინოთ ამოხსნის ძიების პერსპექტიული მიმართულება. ასეთ ხერხს „ევრისტიკული“ ძიების ხერხი ეწოდება.

ტერმინი ევრისტიკა „გამოიყენება“ სხვადასხვა აზრით. ზოგჯერ ამ ტერმინებით აღნიშნავენ მეცნიერების სფეროს. ამავე ტერმინით აღნიშნავენ ამოცანის ძიების ხერხს, პროგრამას, რომელიც არსებითად განსხვავდება ამოხსნის ალგორითმისაგან.

თვით ცნება „ევრისტიკა“ წარმოიშვა ძველ საბერძნეთში, როგორც სწავლების სისტემა, რომელსაც სოკრატე იყენებდა, როცა მასწავლებელს მისახვედრი კითხვებით და მაგალითებით მოსწავლეები მიჰყავს დასმული ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნამდე (წვერო შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი ფესვი. თუ წვეროებს შევუსაბამებთ მდგომარეობებს, საწყის მდგომარეობას, ხოლო ისრებს – გადასვლებს ერთი მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში ოპერატორთა გამოყენების შედეგად, მივიღებთ მდგომარეობათა სივრცის გრაფ-ხეს.

ალმორჩენით სწავლების დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსწავლემ არ დაკარგოს საკუთარი თავის რწმენა. ამ პროცესში მასწავლებლის, როგორც **ფასილიტატორის** როლი უცილობლად დიდი და მნიშვნელოვანია. იმიტომ მასწავლებელი უნდა ფლობდეს სწავლების მრავალფეროვან ხერხებსა და მეთოდებს და კლასის ეფექტურად მართვის უნარ-ჩვევებს. სისტემატურად უნდა ხდებოდეს მოსწავლეებში თვითშეფასების უნარ-ჩვევების ფორმირების მეტად ფაქიზი და აუცილებელი პროცესი.



როცა მასწავლებლებს ვთხოვთ, გაეკეთებინათ ანალიზი იმ სტანდარტებისა და მათი შესაბამისი ინდიკატორებისა, რომელთა მიღწევაც მოსწავლეთა უმრავლესობას უჭირდა, ერთერთი ასეთი საკითხი იყო მიმართულებაში: **რიცხვები და მოქმედებები.**

**მათ. VIII.1. იყენებს პოზიტიურ სისტემას და რიცხვის ჩანერის სტანდარტულ ფორმას**

- მოცემული სიზუსტით ამრგვალებს მთელ რიცხვებსა და ათწილადებს, განასხვავებს პერიოდული ათწილადის შემოკლებით ჩანერას დამრგვალებისაგან.

**მათ. VIII.2. ასრულებს მოქმედებებს რაციონალურ რიცხვებზე და აფასებს მოქმედებათა შედეგს**

- იყენებს რიცხვის ჩანერის ეკვივალენტურ ფორმებს (მაგ. სტანდარტული ფორმა) გამოთვლების შესრულების და/ან გამოთვლების შედეგის შეფასებისას.

მიხალღობითი გამოთვლების კურსს მათემატიკაში რაღაც „ხელშეუხებლის“ პოზიცია უკავ

ბიოლოგია

ვია. ბავშვებს ის არ ესმით, მასწავლებლები კი ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები დრო დაუთმონ.

მიზეზები გასაგებია. გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ „მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა“ თავისთავად წარმოშობს აზრს, რომ იგი იყენებს ზუსტ მნიშვნელობებს. მოსწავლეებისათვის ძნელი გასაგებია, რაში სჭირდებათ მიახლოებითი გამოთვლები, ნუთუ მათემატიკას მათ გარეშე არ შეუძლია?

გაკვეთილებზე არ ხდება შინაარსობრივი ამოცანების განხილვა, რომლის დროსაც მოსწავლე თავად აღმოაჩენდა მიახლოებითი გამოთვლების საჭიროებას და იმის მიხედვრას, თუ სად ზუსტი დათვლება საჭირო და სად მიახლოებითი მნიშვნელობები.

ხელშემშლელი ფაქტორიც კალკულატორით დათვლაა. ამის იმედად მყოფნი ზეპირად დათვლებს თავს არიდებენ და ზემოთ მოყვანილი სტანდარტების შესრულებაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება.

შემოგთავაზებთ რამდენიმე ამოცანას, რომლებიც ცხოვრებისეულ სიტუაციებს აღწერენ და რომლებზედაც მუშაობა სასურველია წარმართოს აღმოჩენით სწავლების მეთოდით:

1. თქვენ გაქვთ ელექტრონული სასწორი, რომელიც წონას გვიჩვენებს 1 გრ-ის სიზუსტით და ერთნაირი მონეტები. ერთ მონეტას სასწორი „ვერ გრძნობს“ (ე. ი. ის 1 გრ-ზე მსუბუქია). როგორ შეგვიძლია მონეტის მასის რაც შეიძლება ზუსტად განსაზღვრა?

- 2. დავითი 257 1/2 -ს ყოფს 18 3/5 -ზე. როგორ შევამოწმოთ სწრაფად მისი პასუხი?
3. კვადრატული ფორმის მიწის ნაკვეთის ფართობი პასპორტის მიხედვით - 520 კვ.-ია. რისი ტოლია ნაკვეთის გვერდები, მეტრებში (ნაკლებობით, მეტობით, მიახლოებით) ?

4. კუბის ფორმის ავზის მოცულობაა 800 კუბ. მეტრი. იპოვეთ ავზის ზომები (მეტრებში): მეტობით, ნაკლებობით, მიახლოებით;

5. როცა ბებიაშვილი შეიღობილი ნელინადიანი განშორების შემდეგ ნახა, წამოიძახა: „ოჰ, შენ სიმალეში 5 სმ-ით გაზრდილხარ“. შემდეგ გაზომა სამედიცინო სიმალის საზომით და მიიღო 163 სმ 7 მმ. „ე. ი. იგი ერთი წლის წინ 158 სმ 7მმ ყყოფილვარ“, გაიფიქრა შეიღობილი. მართალი იყო იგი?

6. გიგლას წონამ, იაპონურ ელექტროსასწორზე აწონვისას, ზურგჩანთიანად, 42 კგ და 312 გრ შეადგინა. მან ჩათვალა, რომ ზურგჩანთა ხუთ კილოგრამს მაინც იწონიდა. რა შეიძლება ვთქვათ გიგლას წონაზე ზურგჩანთის გარეშე?

(ყურადღება მიაქციეთ კითხვის ფორმულირებას: არა „იპოვეთ“, არამედ „რა შეიძლება ითქვას?“ ეს შეკითხვა გათვლილია ზეპირ დათვლა-მსჯელობაზე კლასში, როცა მასწავლებელი კითხვის ფორმულირების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას).

7. ვანოს ველოსიპედის სპიდომეტრი აჩვენებს 4,21 მ/წმ-ს. მის შესახებ დრად მოძრაი ვახტანგის სიჩქარე 2 მ/წმ-ია. რა სიჩქარით უახლოვდებიან ისინი ერთმანეთს?

5-7 ამოცანები შემდეგ წესს ექვემდებარებიან: იმისათვის, რომ მიახლოებით ვიპოვოთ ორი რიცხვის (რომლებიც სხვადასხვა სიზუსტით არიან ცნობილი) ჯამი ან სხვაობა, საჭიროა მათი წინასწარი დამრგვალება ერთნაირი სიზუსტით (ერთსა და იმავე თანრიგამდე).

იმისათვის, რომ შედეგის მაქსიმალური სიზუსტე მივიღოთ, საჭიროა დავამრგვალოთ ის რიცხვი, რომელშიც მეტი თანრიგებია ცნობილი მეორე რიცხვის ბოლო თანრიგის შესაბამის თანრიგამდე (მეორე რიცხვს არ ვეხებთ).

ნელი ნასყიდაშვილი
მათემატიკის მასწავლებელი

სახალისო ცდები ქიმიდან

კვამლი უციცხლოდ

როგორც დაგვირდით, განვადრობთ ქიმიის გაკვეთილებსა თუ კლასგარეშე ღონისძიებებზე სახალისო ცდების ჩატარების მნიშვნელობის განხილვას.

ყოველთვის დიდ გაცუებას და ინტერესს იწვევს ცდა, რომელიც ახლა მინდა შემოგთავაზოთ. ესაა ამიაკისა და ქლორწყალბადისაგან ამონიუმის ქლორიდის წარმოქმნა, ანუ ორი აირის ურთიერთქმედებით მყარი ნივთიერების მიღება.

ცდა ასე ტარდება: მინის ჭიქაში პიპეტით ან მინის წკირით ჩაანვეთეთ ერთი წვეთი ამონიუმის ტუტე (იგივე ამიაკის წყალხსნარი), ხოლო მინის ფირფიტაზე (პეტრის ჯამი, სასაგნე მინა, ან მინის ჩვეულებრივი ნაჭერი) სხვა წკირით დაანვეთეთ მარილმჟავას (იგივე ქლორწყალბადის წყალხსნარის) კონცენტრირებული ხსნარის ერთი წვეთი. მოაველეთ ეს წვეთები ცოტა დიდ ფართობს, რომ სითხე შეუმჩნეველი იყოს. ჭიქაზე მინის ფირფიტის დაფარების შემდეგ ჭიქა თანდათან ივსება „ბოლით“.

ქიმიზმი ასეთია: ამონიუმის ტუტიდან აორთქლდება ამიაკის (NH3) მოლეკულები, რომელიც ჰაერზე მსუბუქია და მალე ადის, ხოლო მარილმჟავას ხსნარიდან გამოიყოფა ქლორწყალბადის მძიმე მოლეკულები და ჩადის ქვემოთ. ერთმანეთისკენ მიმართული ორი აირის შეხვედრისას წარმოიქმნება მყარი ნივთიერება ამონიუმის ქლორიდი. სწორედ მისი მოლეკულების გროვები გამოჩნდება ჭიქაში ბოლის სახით (NH3+HCl=NH4Cl).

შეგიძლიათ ჭიქას მოხადოთ, გადააბრუნოთ და ფრთხილად დაიქნით ბოლის გამოსადევნად. შემდეგ კვლავ დაახუროთ. ჭიქა კვლავ აივსება ამონიუმის ქლორიდის მყარი ნაწილაკებით, რომელიც ბოლს გავს.

ცდის ჩატარების შემდეგ ჭურჭელს დახურულს თუ დატოვებთ, მოგვიანებით ნახავთ ჭიქის კედლებზე მბზინავ მოთეთრო კრისტალების თხელ ფენას.

სახელწოდება კი ამ ცდას მრავალი შეიძლება შეურჩიოთ: „კვამლი უციცხლოდ არავის გაუგონია“, „სიგარეტის კვამლის შეგროვება ჭიქაში“ (მოსწავლე ვითომ ჰაერში გაფანტულ სიგარეტის ბოლს აგროვებს ხელებით და ჭიქაში უშვებს - ოღონდ სახურავის აუხდელად), „ალადინის ჯინი ჭიქაში“ (მოსწავლე ჭიქაზე ხელს გაუხახუნებს წარმოსახვითი ჯადოსნური ლამპრიდან ჯინის გამოსაძახებლად) ... და ა.შ. მასწავლებლის ან მოსწავლის ფანტაზიამ ამ ცდის უამრავი ვარიანტი შეიძლება შექმნას. ჩემს პრაქტიკაში „ჩიბუხებიც“ გამომიყენებია. ორ გრძელ ჯოხზე (ჩვეულებრივ ჩიბუხებზე უფრო გრძელ ჯოხებზე, რათა თვალებზე არ ემოქმედა) წამოვაცვით ამოჩიქნილი რკოები. ერთში ჩავდეთ ამონიუმის ტუტიან ბამბა, მეორეში - მარილმჟავიანი. ორი ბავშვი, ვითომ ჩიბუხის წვეთი, უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ხუთი სანტიმეტრის დაშორებით გააჩერეს „ჩიბუხები“. მალე მათ შორის გაიძვრა ბოლის ღრუბელი.

ქიმიის სწავლების რომელ უნარ-ჩვევებსა თუ ნივთიერებების თვისებებზე შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ ამ ცდის საფუძველზე:

1. ცდის ჩატარების ყველა პირობა ზუსტად უნდა იყოს დაცული, თუ გინდათ, რომ ცდაც ეფექტურად ჩატარდეს და უსაფრთხოებაც გარანტირებული იყოს. მაგალითად, თუ ერთზე მეტ წვეთს აიღებთ, იმდენი ბოლი გამოიყოფა, რომ გარშემო გედარავინ გაჩერდება. შეიძლება თვალები და სასუნთქი ორგანოები დაიზიანოთ.

ან თუ ნიშადურის სპირტს სახურავზე დავანვეთებთ, ხოლო მარილმჟავას - ჭიქის ფსკერზე, ცდა გაცილებით ნელა წავა (აირების კუთრი წონების შედარება ერთმანეთთან და ჰაერთან), აქ შეიძლება ჰაერნაოსნობის პრინციპიც გაიხსენოთ.

2. სხვადასხვა ხსნარებში სხვადასხვა პიპეტით ან წკირები უნდა იხმაროთ, რომ ხსნარები არ დააბინძუროთ. წინააღმდეგ

შემთხვევაში, ხსნარებს კონცენტრაცია და შედეგნილობა შეეცვლება და შეიძლება შემდგომი ცდები ისეთი ეფექტური აღარ გამოვიდეს.

საერთოდ, სამუშაო ხსნარების ჭურჭელს რა ეტიკეტიც უკეთია, ზუსტად უნდა პასუხობდეს ხსნარის შედეგნილობას. ამის დაუცველობა უამრავ გაუგებრობასა და დროის დაკარგვას გამოიწვევს.

3. აირები შეიძლება მყარ ნივთიერებად გადაიქცეს ან პირიქით. მაგალითად: თუ ამონიუმის ქლორიდის თეთრ კრისტალებს სინჯარაში ჩაყრით და გაახურებთ, იგი აირებად დაიშლება NH4Cl=NH3+HCl); წარმოქმნილი აირები კი სინჯარის ბოლოში, ცივ ზედაპირზე ისევ მყარ ნივთიერებად გარდაიქმნებიან (NH3+HCl=NH4Cl).

არსებობს სხვა გარდაქმნებიც: ა) მყარი ნივთიერება .... მყარი + აირი (მაგ. 2KClO3 (მყარი) -> 2KCl (მყარი) +

3O2(აირი)

ბ) თხევადი .... თხევადი + აირები

4HNO3. (თხევ.) = 2H2O (თხევ.) + 4 NO2(აირი) + O2(აირი) და სხვ.


ყველა ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს როგორც ბუნების ერთიანობას, ასევე დისკრეტულობას.

4. მყარსა და თხევად ნივთიერებას გაცილებით პატარა მოცულობა უჭირავს, ვიდრე იმავე რაოდენობის აირს (შეადარეთ, ჩვენი ცდიდან, ორი წვეთი სითხისა და ერთი ან რამდენიმე ჭიქა აირის მოცულობები. მართალია, საბოლოოდ წარმოქმნილი ნივთიერება NH4Cl მყარია, მაგრამ წარმოქმნილი მყარი ნივთიერების კრისტალების ადგილები (ანუ „ბოლი“) ხომ აირების (NH3 და HCl) შეხვედრის ადგილებს აფიქსირებენ.

5. სითხეს და მყარ ნივთიერებას გარკვეული მუდმივი მოცულობა აქვს გარკვეულ ტემპერატურაზე, აირებს კი არა. ამ ცდას რა მოცულობის ჭურჭელში ჩაატარებ, მნიშვნელობა არა აქვს. აირი მაინც მთელ მოცულობას იკავებს. თანაც რამდენჯერმე შეიძლება აავსო ეს ჭურჭელი, სანამ რომელიმე აირი არ გამოიღვება.

6. ამონიუმის ტუტისა და მარილმჟავას ხსნარებიანი ჭურჭელი რეაქტივების კარადაში ერთად არ შეიძლება დაიდგას (ახსენით რატომ);

7. მასწავლებელს, საერთოდ, შეუძლია პირიქით მოიქცეს. მოსწავლეებს ტესტირება ჩაუტაროს იმაზე, თუ რა ცოდნა განიმტკიცა მოსწავლემ ამ ცდის ჩატარების შემდეგ. ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევები მოსწავლეს თუ უკვე აქვს (გააჩნია რომელი კლასია), მან უნდა ჩამოთვალოს ისინი. რომელიც გამოორჩება, მასწავლებელმა უნდა შეახსენოს და დაასხომოს.



„წვადი წვალი“

ყველა მასწავლებელმა იცით, რომ ერთნაირი ზომის Na და K-ის (მაგალითად, მუხუდოს ზომის) ნაჭრებს თუ წყალში ჩაღებთ, ორივე ლითონი წყლის ზედაპირზე დაიწყებს ქაოსურ მოძრაობას, თანდათან გადნება, ვერცხლისწყლის წვეთს დაემსგავსება, ბოლოს კი გაიხსნება, ანუ რეაქციაში შევა წყალთან. ამავე დროს, კალიუმს ცეცხლიც წაეკიდება, ნატრიუმს კი არა. ეს რეაქციები კარგი მაგალითია იმისა, თუ რა დიდი განსხვავებაა სხვადასხვა რეაქტივების სითხური ეფექტები. „სითხური ეფექტის“ ახსნის დროს მასწავლებელი ამაზე უკეთეს მაგალითებს ვერც იპოვის. ამ ცდების შედარებით უამრავი რამის გახსენება შეუძლია მასწავლებელს. მაგალითად, მენდელეევის ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის ლოგიკურობა (I ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტების აქტიურობის ზრდა ზემოდან ქვემოთ; სისტემაში K ხომ Na-ზე ქვემოთ მდებარეობს)... და სხვ.

ახლა ცოტა შევცვალოთ ცდის პირობები.

წყლიან კრისტალიზატორში ფილტრის ქაღალდი დადეთ წყლის ზედაპირზე. მასზე მოათავსეთ ცერცვის მარცვლის ოდენა Na-ის ნაჭერი. წყალი დაიწყებს „წვას“. თუ ცდას პეტრის ჯამში ჩაატარებთ, მაშინ ნატრიუმის ნაჭრის ზომაც შესაბამისად შეამცირებთ.

კარგი იქნება, ნატრიუმის აალების მიზეზს მოსწავლეს თუ აახსენებთ მას შემდეგ, რაც ნატრიუმისა და კალიუმის წყალთან ურთიერთქმედებებს შორის ზემოთ ნახსენებ განსხვავებას გაიხსენებთ.



პედაგოგს უნდა ახსოვდეს, რომ ყველა მოსწავლე ქიმიკოსი არ გამოვა, მაგრამ ქიმიის გაკვეთილებზე უამრავი პრაქტიკული ცოდნის გადაცემა შეიძლება, რომელიც მოსწავლეს ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებლად გამოადგება.

მიიხედ-მოიხედეთ გარშემო: სამზარეულო, სააბაზანო, სარკის წინ პარფიუმერია, ბალ-ბოსტანი და სხვა - ყველგან ხომ ქიმიური ნარბოების პროდუქტებია. ჩვენ ვცხოვრობთ „ქიმიის ოკეანეში“. ამიტომ პედაგოგი ვალდებულია, ხელიდან არ გაუშვას არც ერთი შესაძლებლობა - ყოველი ახალი მასალა ცხოვრებისეულ პრაქტიკას დაუკავშიროს. მაგალითად, ცნობილია რამდენიმე აფეთქება სხვადასხვა ქარხანაში, სადაც ხანძრის მიზეზი ქიმიური ელემენტარული უნარ-ჩვევების უგულვებლყოფა ან არცოდნა იყო. ზეთიანი დეტალების განწმენის შემდეგ დარჩენილი ჭურჭელი ჩვენი ერთ ადგილას, კუთხეში იყო მიყრილი. ზეთმა დაიწყო ფანავა და სითბოს გამოყოფა; შენობის კუთხეში სითბო ვერ გაიფანტა თავისუფლად. ყოველივე ამან გამოიწვია სითბოს ისეთი რაოდენობის დაგროვება, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა ნაჭრების აალებისათვის. ამან, თავის მხრივ, უფრო ძნელად აალებადი ნივთიერებები აანთო და საბოლოოდ დიდი ხანძარი გამოიწვია.

სასწავლი და სასწავლებელი ბევრია. გისურვებთ წარმატებებს.

მარიამ სურგულაძე

თვალსაზრისი

მოზარდთა ძალადობის პრევენციისა და დაძლევის შესახებ

მოზარდთა ძალადობა საქართველოსთვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის, სერიოზულ პრობლემად იქცა. წლების განმავლობაში სიტყვიერმა „ბრძოლამ“ შედეგი არ მოგვცა – პრობლემა უფრო და უფრო მწვავედბა. სახელმწიფომაც და საზოგადოებამაც ამ თემას საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოს. ჩვენ უნდა გავიაზროთ ამ ნეგატიური მოვლენის მიზეზები და შედეგები და მხოლოდ ამის შემდეგ დავსახოთ რეალური მიზნები და მათი მიღწევის მექანიზმები – სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ადეკვატური სამოქმედო პროგრამის მომზადება და წარმატებით განხორციელება.

I. მიზეზები

პრობლემა რამდენიმე არსებით მიზეზის გამო წარმოიქმნა, რომლებსაც სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და პიროვნული საფუძვლები აქვს.

სახელმწიფოს დონეზე შესაძლოა რამდენიმე მიზეზი დაინახოს:

- ჩვენ ვერ შევძელით, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავგეტანოთ საკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების ერთგულებისა და საზოგადოების მსახურების იდეა.
- განათლების სახელმწიფო სექტორმა ვერ უზრუნველყო სამოქალაქო აღზრდის სასკოლო სისტემის გააზრება და აგება – ცალკეულ მცდელობები და აქტივობები საერთო სურათის ვერ ცვლის. ძირითადი სარეფორმო დოკუმენტი – „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ საკმაოდ კვალიფიციურად არის შედგენილი, მაგრამ სკოლების დიდ უმრავლესობას ნაკლებად აქვს გააზრებული, როგორ უნდა იქნეს მიღწეული ეს მიზნები, ამ მიმართულებით კარგად გამოკვეთილი და თვალსაჩინო არ არის, როგორც ადმინისტრაციების, ისე პედაგოგიური კორპუსის კომპეტენცია.
- არასაკმარისი ფრაგმენტული და ხარვეზიანი მოზარდთა თავისუფალი დროის ორგანიზების სახელმწიფო მცდელობები (სისტემა აქ პრაქტიკულად არ არსებობს), რაც მასობრიობის ილუზიასაც კი არ ქმნის.
- სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ ქმნის მოზარდთა და ახალგაზრდათა სამუშაო მოტივაციას – კვალიფიციურ პრობლემასთან დაკავშირებული პერსპექტივის განცდა საკმაოდ მწირია. განათლებული შრომა და კეთილდღეობა ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით არსებითად ვერ დაუკავშირდა ერთმანეთს, რის გამოც არ არის გამოიწვეული, მოზარდთა შრომით მოტივაციას კორპორაციული ძალადობით ცხოვრებისეული წარმატების მიღწევის მოტივაცია ენაცვლებოდა.
- სახელმწიფო ჯერჯერობით ვერ გადაწყვიტა შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმების პრობლემა, რაც, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, მოზარდს ზოგჯერ პირდაპირ უბიძგებს ასოციალურ ქცევას.
- შრომის არასაკმარისი ანაზღაურების გამო სკოლები დაცარიელდა კაცი მასწავლებლებისაგან, რაც, ვაჟების აღზრდის თვალსაზრისით, პრაქტიკულად გადაუღებავ პედაგოგიურ პრობლემებს ქმნის – ყმაწვილები სკოლაში ვერ ხედავენ მამაკაცური ქცევის, მეტყველებისა და ღირებულებების გაცნობიერებულ ერთგულების უშუალო მაგალითებს.
- სახელმწიფოს დღემდე არ აქვს მოზარდთა დანაშაულის პრევენციისა და ასოციალური ქცევის შედეგების რეგულირების ადეკვატური სისტემა. როგორც პედაგოგების, ისე სოციალური მუშაკების (მათი რაოდენობა ძალიან მცირეა) და პოლიციელების პროფესიული მზობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად არასაკმარისი და არაეფექტურია. პრაქტიკულად არ არ-

სებობს უზნის ინსპექტორის ინსტიტუტი. ჩამოყალიბდა, გამოქვეყნდა და სკოლებში უკვე ამოქმედდა მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, მაგრამ მისი მარტივების კოეფიციენტი ჯერ-ჯერობით საკმაოდ დაბალია, ერთი მხრივ, არასისტემური, მეორე მხრივ კი, სასკოლო სუბიექტების (მოსწავლე, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგი) მიერ მისი არასათანადო განხორციელებისა და მათივე სათანადო პასუხისმგებლობის დეფიციტის გამო.

საზოგადოების დონეზე შემდეგი სურათი ჩანს:

- ნეგატიურად უტყობილო „ქურდული“ და ე.წ. „ძველბიჭური“ (როგორც ზოგჯერ ამბობენ – „ქალაქური“) ცნობიერება, მეტყველება (ინტონაცია ცი) და ქცევა უფროსი და საშუალო თაობის (მათ შორის – ე.წ. „ცნობიერი სახეების“) არსებითი მახასიათებელია დღემდე, რაც მოზარდებისთვის მიზანძივი ობიექტი ხდება. ახალგაზრდა თაობა კარგად ხედავს (და დიდწილად – სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე), რომ საზოგადოების პასიური თანადგომით, ხოლო ზოგჯერ ნაქიზებითაც ჩვენს ქვეყანაში წარმატებას აღწევს ადამიანები, რომლებიც არ გამოირჩევიან საყოველთაოდ აღიარებული ზნეობითა და განათლებით. ისინი სოციალური სამართლიანობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ იხვეჭენ სარგებელსა და მხოლოდ მავანთაგან დაფასებულ „ავტორიტეტს“.
  - მკაფიოდ იკვეთება სოციალური კონკურენციის რაგინდარაგზით განვითარება და სათავისო ქცევად გაგებული თავისუფლების განწყობა.
  - ჩვენს საზოგადოებაში, ზოგადად, ნაკლებია სამართლებრივი კულტურა. კანონთან „თავისუფალი“ მიმართება, ე.წ. პიროვნული თუ სახელმწიფოებრივი „მიზანშეწონილობის“ პრევალირება კანონზე, შერჩევითი სამართალი და „კორპორაციული ზნეობა“ (რაც იმას გულისხმობს, რომ ესა თუ ის პირი ან პირთა ჯგუფი განსხვავებულად იქცევა „საკუთარ“ და „სხვა“ გარემოში) საქართველოსთვის არ არის უცხო ხილი – სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პრობლემების უფლების ნიშანზე პასუხისმგებლობის ამალგება ჩვენი საზოგადოების ერთ მთავარ მიზნად რჩება.
  - ჩვენი საზოგადოება კარგად აცნობიერებს ხოლმე ამა თუ იმ პრობლემას, მაგრამ აქტიურობის ქუსლად რჩება მიზანმიმართული, გეგმაზომიერი, კარგად გააზრებული, ადეკვატურად დაგეგმილი და შეუპოვარი მოქმედება ამ პრობლემის დასაძლევად. პრობლემა ხშირად ისე „ფეთქდება“, რომ მასმედიისა და საზოგადოების ყურადღებას უშლ მიიპყრობს, მაგრამ განწყობის სიმწვავე მალევე იკლებს და პრობლემაც მივიწყებას ეძლევა, სანამ ახალი ფაქტით ან რაკურსით ხელახლა არ წარმოიჩინება.
  - საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის „ღირებულებას“ წარმოადგენს დანაშაულის ან მძიმე ასოციალური ქცევის ფაქტის დაფარვა – ანტისოციალური დემოლი (ე.წ. „ომერტა“) მოზარდთა და უფროსთა შორის ძალადობის კულტივირებას არსებითად უწყობს ხელს.
- პიროვნების დონეზე შესაძლოა შემდეგი ფაქტორები გამოიკვეთოს:**
- არსებობს პიროვნული დაუინტერესებლობა („რა ჩემი საქმეა“), გულგრილობა, მორიდება და შიშიც მოზარდთა დანაშაულებრივი (ან – მასთან დაახლოებული) ქმედებების მიმართ – ადამიანთა დიდი ნაწილი არ ან ვერ არის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განსახიერება.
  - დიდი პრობლემა ახლავს საოჯახო აღზრდას – მშობლების სერიოზულად მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფლობს აღმზრდელის ელემენტარულ კომპეტენციას, ხოლო ბევ-

რი მათგანი – სათანადო პასუხისმგებლობასაც. ზოგჯერ მშობლების დაუინტერესებლობა საკუთარი შვილების ბედით გამოგნებულ სახეს იძენს. ზღვარგადასული „თავისუფლება“, რაც, როგორც აღზრდის „მეთოდი“, არსებითად შვილის სრულ უკონტროლობას გულისხმობს (მაგალითად, თბილისის დამის კლუბებში დილის 3-4 საათზეც კი, არც თუ იშვიათად, შეხვედრით ე.წ. „თინეიჯერებს“, რომელთა მშობლები არც კი ინტერესდებიან, სად იმყოფებიან ამ „არასაბავშვო“ დროს მათი შვილები), კარგ ფონს ქმნის მოზარდთა დანაშაულისთვის.
- მოზარდთა ერთი ნაწილისთვის წარმატების მოტივაცია იქცა არა პიროვნული საგანმანათლებლო ან შრომითი ძალისხმევა, არამედ კორპორაციული ძალადობა – სიკეთის შექმნაზე მეტად ამ ნაწილს სიკეთის მითვისება ეძვირფასება.
- მამებისა და შვილების თაობებს შორის წარმოიქმნა ღირებულებით გაუცხოება. ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი სულიერი ურთიერთობის დეფიციტია – მშობლები და შვილები, სხვადასხვა „მიზეზით“ თუ განწყობით, ერთმანეთისთვის ვერ იცლიან, რაც დამლუპველია ორივე მხარისთვის.

II. შედეგები

- ასოციალური ქცევის ღირებულებითი (ღირებულებებზე დაფუძნებული) შემაკავებელი ფაქტორები არსებითად შესუსტდა.
  - მოზარდებში გაიზარდა ნიჰილიზმი საზოგადოებრივი თანაცხოვრების ელემენტარული წესების მიმართ; ბევრი მათგანი ზნეობრივი და კულტურული ცხოვრების წესზე მაღლა პიროვნულ სარგებელსა და წარმატებას აყენებს – სწავლა, განათლება და საზოგადოებრივი წესრიგის ტრადიციულად აღიარებული პრინციპების დაცვა მათთვის არ არის ძირითადი ორიენტირები.
  - თანატოლთა მიერ აღიარება, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზების სრულიად ბუნებრივი სურვილი არაიშვიათად იფუძნება ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების იგნორირებას, სხვების დაზარალების ხარჯზე საკუთარი მიზნების მიღწევას.
  - გამოიკვეთა კლანური ცნობიერება – საერთო სარგებელსა და ძალადობაზე დამკვიდრებული „მეგობრობა“ და „ძმობა“. ამ ტიპის კორპორატიულობა მოზარდთა ძალადობას ზოგჯერ ორგანიზებულ სახესა და ხასიათს სძენს.
  - ღირებულებებისა და ცხოვრების ღირსი ნების იგნორირების ფონზე დიდ პრობლემად იქცა ნარკომანია, რომელიც ლამის სოციალური ეპიდემიის ნიშნებს ავლენს. დამაფრთხილებელი ვითარება შეიქმნა ალკოჰოლიზმის მხრივაც, რაც არასდროს ყოფილა „ქართული პრობლემა“.
  - ასოციალური ქცევის თვალსაზრისით, ვაჟებთან ერთად, უკვე გავრცელებული „გამოირჩევიან“.
  - სკოლებში და სკოლებს მიღმაც არის პიროვნული ჩაგვრის, ფულის ერთჯერადი თუ სისტემური გამოძალის, სხულის განზრახ დაზიანების, ფიზიკური თუ სულიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში.
  - ხშირად მოზარდები სრულად აცნობიერებენ, რომ ასოციალური და იქცევიან, მაგრამ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობას არ ანიჭებენ და ზოგჯერ დემონსტრაციულად, საჯაროდ გამოჩენილი ნიჰილიზმით აკეთებენ ამას.
  - მოზარდების ნაწილი საშუალო სასკოლო ასაკიდან (VII-VIII კლასები) მუდმივად ატარებს ცივი იარაღს, რომლის შექმნა საქართველოში პრობლემა არ არის.
- რამ შეიძლება სასიკეთოდ შეცვალოს ეს საგანგაშო ვითარება?**
- სანამ რეკომენდაციებზე ვიჭყოდეთ რაიმეს, აუცილებელია პოზიტიური ფაქტორებიც შევაფასოთ და გავითვალისწინოთ.

III. პოზიტიური ფაქტორები

- არსებობს საკითხის გადაწყვეტის სახელმწიფო ნება, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემის საკანონმდებლო, საკადრო და ფინანსური ასპექტები გათვალისწინებული და უზრუნველყოფილი იქნება.
  - საზოგადოება თანდათან აცნობიერებს, რომ მოზარდთა ძალადობა ახლო პერსპექტივაში შესაძლოა სოციალურ კატასტროფად იქცეს, ამდენად პრობლემის გადასაწყვეტად მისი მოლოდინიც და მზობაც ამ ეტაპზე საკმაოდ დიდია, რაც ოპერატიული მოქმედებისთვის კარგ განწყობასა და ფონს ქმნის.
  - უკანასკნელ ხანს არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად იქმნება კარგი „პროგრამული ბაზა“ (მაგალითად, „უსაფრთხო სკოლა“ ან ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებული თუ ანტინარკოტიკული პროგრამები).
  - თანდათანობით იქმნება საკადრო ბაზა (მაგალითად, გამოჩნდნენ სოციალური მუშაკები, თუმცა მათი რაოდენობა ჯერჯერობით სრულიად არასაკმარისია).
  - საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი განათლების სისტემაში პრაქტიკულად დამკვიდრდა აზრი, რომ მოზარდთა ძალადობის პრევენცია გაცილებით ეფექტური და აქტუალურია, ვიდრე პოსტფაქტუმ რეაგირება და სასჯელების გამკაცრება – ეს მართებულ სასტარტო განწყობას ქმნის.
  - „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით სკოლები-სათვის მინიჭებული გარკვეული ავტონომია პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივი ინიციატივების კვიფრ ნინაპირობაა – ჩვენ არ უნდა ვიფიქტოროთ, რომ მოზარდთა ძალადობის საკითხი მხოლოდ ცენტრში დაგეგმილი და მისგან წარმართული აქტივობებით გადაწყვეტება.
  - მედიაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველობის შეცვლამ და მაუწყებლობის განახლებულმა კონცეფციამ პრობლემის გააზრებისა და დაძლევის სათვის უფრო თანამედროვე მედი-აპოლიტიკის გატარების შესაძლებლობა მოგვცა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ მიმართულებით ჯერჯერობით რაიმე რეალური შედეგები ჩანდეს.
- ზემოთქმულიდან გამომდინარე, იკვეთება რამდენიმე არსებითი რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინების გარეშე გაძლიერდება მოზარდთა ძალადობის მკვეთრი შემცირება საქართველოში.

IV. რეკომენდაციები

- გადაუდებელი საჭიროებაა პრობლემის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის ოპერატიული მომზადება და განხორციელება – ამისთვის აუცილებელია, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების სრული და კოორდინირებული ამოქმედება.
- სახელმწიფო პოლიტიკა უნდა გულისხმობდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების მსახურების იდეის მუდმივ დეკლარირებას, პროპაგანდასა და საჯარო დაფასებას. აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან იმ ადამიანების წინა პლანზე წამოწევა, რომლებიც გამორჩეულად განასახიერებენ ამ იდეას.
- აუცილებელია შესაბამისი მედი-აპოლიტიკის გატარება (უწინარეს ყოვლისა, ეს საზოგადოებრივი მაუწყებელს ეხება). ამ კონტექსტში, საგანგებოდ მნიშვნელოვანია მკაცრად იყოს დაცული მოზარდთა ფსიქიკაზე არასასურველი ზემოქმედების შემზღუდველი კანონმდებლობით აღდგენილი მოთხოვნები, აგრეთვე ულესად განსაზღვრული დროითი შემოიფარგლოს ძალადობის სცენების შემცველი ტელეპროდუქციის ჩვენება.

გია გურულია  
თბილისის №24 საჯარო სკოლის დირექტორი

ინფორმაცია

ჩემი სხოვრების უბედნიერისი დღეები

როდესაც ჩვენი სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ეკატერინე ჭიჭინაძემ მოსწავლეებს შეგვატყობინა, რომ სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი და იმერეთის კონსტანტი კახის სახელობის ტაძარი ატარებდა რესპუბლიკურ კონფერენციას თემაზე: „მამულს გული უპირველეს ყოვლისა“, მამინვე გადავწყვიტეთ, ყველაფერი გამეკეთებინა კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. თემა მიძღვნილი უნდა ყოფილიყო სამშობლოსათვის თავდადებულ ისტორიულ თუ თანამედროვე გმირებისადმი. მე დავწერე არაბებისაგან წამებულ დავით და კონსტანტინე მხეიძეებზე და თემა თბილისში გავგზავნი.

მაღე გავიგე, რომ კონფერენციის I ეტაპი წარმატებით გადავლახე და, სხვა ბავშვებთან ერთად, მინვეული ვიყავი თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში. დედასთან ერთად სიმონეთში ჩავიყვანი. პირველ დღეს გამარჯვებულმა ბავშვებმა მოვილოცეთ სოფელ სიმონეთის კონსტანტი კახის სახელობის ტაძარი, შემდეგ გელათი, მონათეა და ბაგრატი. თავი სიზმარში მეგონა. ეს ტაძრები ბავშვობაში მქონდა ნანახი და არ ვიცოდი, კიდევ თუ მომეცემოდა ამ შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახვის შესაძლებლობა. მეორე დღეს სიმონეთის №1 საჯარო სკოლაში ჩატარდა კონფერენცია, შეეხვედით თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს: ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელს, ბატონ გოგი დოლიძესა და ჟიურის სხვა წევრებს. გამარჯვებულმა ბავშვებმა საზოგადოების წინაშე წარმოვადგინეთ საკუთარი თემები. ეს იყო ორი უბედნიერესი და ზღაპრული დღე ჩემს ცხოვრებაში, ძალიან კმაყოფილი დავარჩი, გაცივანი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბავშვები. ნი კიდევ დაჯილდოების ცერემონიალი მელოდა, ოღონდ სულ სხვა ადგილას, სხვა დროს და სხვა ვითარებაში.

დაახლოებით 1 თვის შემდეგ, დედაჩემს დაუკავშირდა ბატონი გოგი დოლიძე და გასული წლის მიწურულს, ჩოხოსან რაინდთა დასის იუბილეზე, თბილისში, დაჯილდოებაზე მიმიწვია. თან აღნიშნა, რომ იქ მრავალი სიურპრიზი მელოდა. თბილისში

ჩავიდე, დაჯილდოება მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართა: დარბაზში ხალხმრავლობა იყო, საღამო ბატონ გოგი დოლიძეს მიჰყავდა. გამარჯვებულებს ცნობილი ადამიანები აჯილდოებდნენ სიგელებითა და წიგნებით. როცა ამდენი ცნობილი ადამიანი დავინახე ერთად შეკრებილი, თავი უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი. იქ იყვნენ: მარიკა ლორთქიფანიძე, გუბაზ სანიკიძე, ქეთევან კიკნაძე, ჯუმბერ ლეყავა, ჯუმბერ ლომინაძე, ზინაიდა კვერენჩილაძე და ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები. თერჯოლაში გაცნობილი ბავშვებიც ვნახე. რაჭიდან მხოლოდ მე ვიყავი. ჩემი დაჯილდოების დროც დადგა. გოგი დოლიძემ სცენაზე მიმიხმო და განაცხადა, რომ ჩემი დაჯილდოების სურვილი გამოუთქვამს 60-იანი წლების მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ჭიდაობაში, წარმომოხმობით რაჭველს, ბატონ გურამ სალარაძეს. იგი ძალიან გულთბილად შემხვდა და თავისი ავტოგრაფით ავტობიოგრაფიული წიგნი გადმომცა. ბატონმა გოგამ კი სიგელითა და კონსტანტინე გამაზრდიას წიგნით დამაჯილდოვა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ ემოციები ვერ დავფარე, საჯაროდ გადავუხადე ყველას მადლობა ამ ბედნიერი წუთების ჩუქებისათვის.

ეს დღეები მართლაც გამორჩეული და უდიდესი სიხარულით იყო აღსავსე. დიდი მადლობა ამ კონფერენციის ორგანიზატორებს, ცოდნის მიღებასთან ერთად საშუალება მომეცა, კიდევ ერთხელ შევეხებოდი ჩვენი სამშობლოს მატრიანეს ფურცლებს, ამასთანავე უდიდესი გამოცდილებაც მივიღე, ეს იყო ჩემთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის დიდი გაკვეთილი, შევიძინე ნაცნობები და რაც უმთავრესი, ჩემთვის ყველაზე მეტად ღირებულია, გამარჯვებით ვასახელე ჩემი მშობლიური კუთხე რაჭა, ჩემი მშობლიური სოფელი ველები და ჩემი სკოლა!

პერიკო ანუშიძე

ამბროლაურის რაიონის სოფელ ველების საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე

ლია გაკვეთილი ხელოვნებაში

საინტერესო ღია გაკვეთილი ჩატარდა სახვით ხელოვნებაში ადიგენის რაიონის სოფელ არლის საჯარო სკოლის VIII და VIII კლასებში. გაკვეთილს ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი, ქალბატონი მარო ჩხიტუნია და სხვადასხვა საგნის მოსწავლეები. დამსწრეთა სიმრავლის მიუხედავად, არც ხელოვნების საგნის პედაგოგს, ნოდარ ჩილინგარაშვილს და არც მის მოსწავლეებს ლეღვა არ ეტყობოდათ, რადგანაც ისინი მიჩვეულები არიან გაკვეთილებზე სტუმრობას.

გაკვეთილის თემა იყო „ხელოვნების მრავალსახეობა“, მიზანი კი – ჟანრის თავისებურებების გაცნობა, მსჯელობა სურათების პერსონაჟებისადმი დამოკიდებულებაზე, არგუმენტირებული მსჯელობის, პრაქტიკული და საკომუნიკაციო უნარების განვითარება.

დარბაზში წარმოდგენილი იყო ოცდახუთი მოსწავლის ნახატები. თითოეული ნამუშევარში შეიმჩნეოდა ავტორის ფანტაზიის, წარმოსახვისა და შემოქმედების უნარი. კედლებზე გამოფენილი იყო განსხვავებული ჟანრის ნიმუშები: პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი. მოსწავლეები მსჯელობდნენ თითოეული მათგანის ირგვლივ – თუ რა და როგორ არის მათზე გამოსახული, რა იციან ავტორის შესახებ. მსჯელობდნენ კონკრეტული ჟანრის დამახასიათებელ ნიმუშებზე, მხატვრებზე, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თავიანთ შემოქმედებაში რომელიმე მიმართულებას, პასუხობდნენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს. გაკვეთილზე ბავშვებმა განსხვავებული მასალაში (ფანქარში, გუაში, აკვარელში, ზეთში ტილოზე და ქალაქდზე) შესრულებული ნახატების პრეზენტაცია გამართეს, ისაუბრეს ნახატების შინაარსსა და კომპოზიციაზე, კარგად ერკვეოდნენ მასალების თვისებებსა და თავისებურებებში. ყურადღებით უსმენდნენ ერთმანეთს და პასუხობდნენ დასმულ შეკითხვებს. გაკვეთილის დასასრულს, პარალელურმა კლასებმა ერთმანეთი შეაფასეს და საუკეთესო ნახატებიც შეადარეს, რითაც კიდევ ერთხელ დავინახეთ მოსწავლეების დამოკიდებულება ხელოვნებისადმი, რამიც დიდი წვლილი მიუძღვის საგნის პედაგოგს, ბატონ ნოდარ ჩილინგარაშვილს, რომლის ნაყოფიერმა მუშაობამ შედეგი გამოიღო და ათობით ახალგაზრდა ავტორებს მის საქმიანობას. ბატონი ნოდარი, მომავალში, გეგმავს სკოლაში ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის მონაწილას, სადაც ნათლად გამოჩნდება შემოქმედებითი აზროვნების, ემოციური სფეროს წარმოსახვის, გემოვნებისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები.

გაკვეთილი მაღალ დონეზე შეაფასეს დირექციის წევრებმა და დამსწრე მოსწავლეებმა, ასევე კმაყოფილები დარჩნენ თვით მოსწავლეებიც. მათ ძალიან მოსწონთ ხელოვნების სახელმძღვანელო და მადლობას უხდებიან წიგნის ავტორებს: ქალბატონ ნანა მაჭარაშვილსა და ქალბატონ ნინო სილაგაძეს.

ნარგიზ კახაჩიშვილი

არლის საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

ახალი წიგნები

დროთა ქარიზხლებს გამოირიღებულნი

რამდენიმე სიტყვა ნინო ოქროპირიძის ნაშრომაზე „ტოპონიმიკური კიბაზანი“

„ტოპონიმია მიწის ენაა, ხოლო დედამიწა კი ვადაშლილი წიგნია, რომელშიც კაცობრიობის ისტორია ინერგება გეოგრაფიული ნომენკლატურით“, – ეს მხატვრული განმარტება გასდევს მთავარ ხაზად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, დეკანოზის ენათმეცნიერისა და მოღვაწის, ქალბატონ ნინო ოქროპირიძის ნაშრომს „ტოპონიმიკური კიბაზანი I“ (გამომცემლობა „ფარნავაზი“, გორი, 2008 წ.).

ქალბატონი ნინო ოქროპირიძე, ათეული წლებია, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდისა და ენის კანონზომიერებათა სწავლების საქმეს ემსახურება. ამავდროულად, გამომწვევით აქვს შესწავლილი ქალაქ გორისა და გორის რაიონის ტოპონიმიკა, გამოსაცემად გამზადებული აქვს „გორის რაიონის ტოპონიმიკის ლექსიკონი“.

ცნობილია, რომ ტოპონიმების შესწავლა-გაანალიზებას, წმინდა მეცნიერულთან ერთად, დიდი მამულიშვილური მნიშვნელობაც აქვს. ამდენად, ქალბატონი ნინოს მეცნიერული ინტერესის ეს სფერო, მართლაც რომ, დასაფასებელი და ღირებულია.

„ტოპონიმიკური კიბაზანი“ თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნათა დონეზე შედგენილი და გაანალიზებული ნაშრომია. მასში ზოგადი ენათმეცნიერებისა და ლინგვისტური ანალიზის შედეგად გამოთქმული არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება და არგუმენტი დიდ დახმარებას გაუწევს როგორც კონკრეტულად გორის რაიონის ისტორიით, თუ კულტუროლოგიის თვალსაზრისით, ისე ზოგადად ენათმეცნიერებით დაინტერესებულ მკვლევარებს.

წიგნი დამაჯერებლად, არაერთი წყაროსა თუ არგუმენტის მომველიებით განხილულია შემდეგი

საკითხები: „გორის რაიონის ჰიდრონომთა ბუნებისათვის“; „ზმნური წარმოშობის გეოგრაფიული სახელები“; „ყვავის საყდარი“; „რეჟიმი“; „ყარყარაზანი“.

გორის რაიონი, ტერიტორიულად და ისტორიულად, საქართველოს შუაგულს წარმოადგენს და ამიტომ აქ დაცული ტოპონიმების შესწავლა-გაანალიზებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთრივ ენათმეცნიერული, ისე ისტორიული თვალსაზრისითაც.

მწერალი, არაერთი ისტორიული დოკუმენტისა თუ ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემათა საფუძველზე, გვთავაზობს არაერთი ტოპონიმის თავისებურ ახსნას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო სურათს იძლევა ჰიდრონიმების შესწავლა. ქალბატონი ნინო ღრმად უკვირდება რა ჰიდრონიმ „კორკულას“, რომლის ეტიმოლოგია აქამდე გაურკვეველია, მისი მორფოლოგიური ანალიზის საფუძველზე ასკენის, რომ ამ ჰიდრონიმში შენახული უნდა იყოს ქართული რკოს თავდაპირველი ფორმა კორკო – კრკო – რკო. მით უმეტეს ამის საშუალებას იძლევა იქ დღემდე შემორჩენილი მუხის კორომების არსებობა.

ამა თუ იმ ტოპონიმის ანალიზისას მკვლევარი მიმართავს სხვადასხვა ენაში დაცულ შესაბამისი ფუძის ტოპონიმს და იძლევა დამაჯერებელ დასკვნებსა და მოსაზრებებს.

როგორც თვით ნაშრომის ავტორი წერს, გორის რაიონის ტოპონიმების შესახებ მასალა შეუგროვებია გორის რაიონის 90 სოფელში, 1971-73 წლებში. ეს მასალა მას დაულაგებია „იმ ნიშნების მიხედვით, რომელიც სახელების ძირითად საფუძველს წარმოადგენს“.

ნაშრომში მოტანილია მხოლოდ

ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშები. ამ თვალსაზრისით, მკვლევარი განიხილავს ექვს დამახასიათებელ ქვეჯგუფს. ასევე ჯგუფურადაა დაყოფილი ადგილის რელიეფური ნიშან-თვისებების მატარებელი, ნიადაგის თავისებურებათა, მცენარეთა საფარისა და ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული, სამეურნეო საქმიანობის ამსახველი, ჰიდრობიოქიმიკური ახლომდებარე ორიენტირი და ანთროპონიმიური და წყლის მდინარეების მიმართულების ამსახველი ჰიდრონიმები (სულ რვა მიმართულება).

წიგნში, სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით, მკვლევარი აანალიზებს ეგრეთ წოდებულ მეტაფორულ ტოპონიმებს გორის რაიონის მიკროტოპონიმიური მასალების მიხედვით. იგი შესასწავლი პრობლემის დიდი ცოდნით, ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მიმოიხილავს ადამიანის და ცხოველთა სხეულის ნაწილების თემატური ჯგუფის მქონე ტოპონიმებს და იძლევა მათ კლასიფიკაციას. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა მიკროტოპონიმიში ჩატარებული კვლევა. როგორც ნ. ოქროპირიძე წერს: „თვით სახელდება ეს არის პროცესი ობიექტური სინამდვილის რეალობის გაცნობიერებისა და გაადაამიანურებისა“.

ზმნური წარმოშობის გეოგრაფიული სახელების ანალიზისას ნ. ოქროპირიძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ტოპონიმზე „ორმოხატარე“, რომლის მიღმაც დგას სევდიანი ისტორია მტრისაგან შევიწროებული ქართველი დედისა. აღსანიშნავია, რომ იმპერიატიული კონსტრუქციების ზმნური ფუძეებით წარმოებული ტოპონიმები ჩვენში სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ამ მიმართულებით ჩატარებული

კვლევა, ვფიქრობთ, დიდად საინტერესოა.

გვინდა, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ ტოპონიმზე „ყვავის საყდარი“. ხსენებული სახელწოდების ტაძრის ნანგრევები, როგორც მკვლევარი წერს, დღემდე შემორჩენილი გორის რაიონის სოფლებში – ახალსოფელში, უფლისციხესა და შავშვებში.

ნაშრომის ავტორს, ერთი მხრივ, მოაქვს თქმულება ყვავის თავგანწირვის შესახებ, მეორე მხრივ კი, მიმოიხილავს ყვავისადმი ბიბლიურ ტექსტებში დაკისრებულ მოვალეობას, ასევე იხსენებს ბასილი დიდის ნაწარმოებს „ექსესთა დღეთა“, რომელშიც საინტერესო მასალას ვხვდებით ყვავის კეთილსმყოფელ როლზე ფრინველთა უსაფრთხო გადაფრენის საქმეში და განსხვავებით ხალხის უარყოფითი დამოკიდებულებისადმი ფრინველისადმი, წარმოაჩენს იმ კეთილმოხილურ მისიას, რაც განგებამ ამ ფრინველს დაუწესა.

მკვლევარი არგუმენტირებულად, აკადემიური მსჯელობით იკვლევს ტოპონიმს „ყვავის საყდარი“ და ამ სახელით არსებულ ტაძართა საფუძველს სამართლიანად ეძიებს ყვავის მისიის ბიბლიურ გაგებაში.

უაღრესად საინტერესოა ტოპონიმ „რეჟიმი“ ეტიმოლოგიის მკვლევარისეული განმარტება. რეჟიმის სალოცავი, ძირითადად, ოსთა უზენაეს ღვთაებას უასტირჯის (წმ. გიორგის თანაბარი ღვთაება) სახელზე უკავშირდება. მკვლევარი კი ასკენის, რომ რეჟიმი უნდა მომდინარეობდეს სიტყვისგან „რეჟა“. ასევე საინტერესოა ტოპონიმ „ყარყარაზანის“ ეტიმოლოგიური ანალიზი.

წიგნი მთავრდება გორის ქუჩების სახელწოდებათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებებით.

მურად მთვარელიძე

ბაშურის №9 საჯარო სკოლის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



### ელენე გედევანიშვილია ლიდერობა ვერ შეინარჩუნა და, თავისუფალი პროგრამის ჩაგდებას გამო, პირველი ადგილი მეექვსეზე გაცვალა. 19 წლის ელენე გედევანიშვილია მოკლე პროგრამაში 60.32 ქულა მოაგროვა და პერსონალური რეკორდი გააუმჯობესა, რაც გადამწყვეტი გამოსვლის წინ ქართველ გულშემატკივარს დიდ იმედს უსახავდა, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. ელენე სოფის „ზამთრის სპორტთა სასახლის“ ყინულზე ბოლოს წინა - 24-ე ნომრად

გავიდა, როდესაც პირველ საფეხურზე რუსი ალიონა ლეონოვა იმყოფებოდა. მოკლე პროგრამაში ელენემ ალიონას 4.82 ქულით აჯობა, თავისუფალ პროგრამაში კი არაერთი შეცდომა დაუშვა და, მიუხედავად იმისა, რომ არ დაცემულა, ძალიან დაბალი შეფასება მიიღო. თავისუფალ პროგრამაში მიღებული 78 ქულით კი მე-11 ადგილი დაიკავა. საერთო ჯამში ელენე გედევანიშვილი 138.32 ქულით მეექვსე ადგილზე გავიდა. მსოფლიო ჩემპიონი ალიონა ლეონოვა გახდა. მან თავისუფალ პროგრამაში ჩინებული შედეგი - 107.03 ქულა აჩვენა, სულ კი 157.18 ქულა მოაგროვა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ამერიკელებს - კაროლინ უანგსა და ემლი ვაგნერს გადაეცათ.

ქართველი მძლეოსანი მარიამ ქევიშვილი აგრძელებს წარმატებულ გამოსვლას აშშ-ს საუნივერსიტეტო პირველობებში. ამჯერად მან კენტუკის შტატში, ქალაქ ლექსინგტონში იმარჯვა, სადაც ბირთვი 17,94-ზე გასტყორცნა და პირველობა არავის დაუთმო. ჩვენებურისთვის ეს წლებანდელ სეზონში მეხუთე ამერიკული გამარჯვებაა, მაგრამ ახლანდელი შედეგი ორი მიზეზითაა გამორჩეული - ქევიშვილი პირადი რეკორდიც გააუმჯობესა და აშშ-ს საუნივერსიტეტო ტურნირების შედეგად დახურულ დარბაზებში შეგახსენებთ, რომ აქამდე მისი საუკეთესო მაჩვენებელი 17,35 იყო, რომელსაც ახლა საგრძობლად გადააცილა. საერთოდ, მის გამოსვლაში სტაბილურობა და პროგრესი უკვე აშკარა გახდა, რაც მისასალმებელია. ქევიშვილი ცოტა ხნით დაისვენებს, 13-14 მარტს კი აშშ-ს ეროვნულ პირველობაში გამოვა. დაბოლოს, ქევიშვილი ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი მძლეოსანია, რომელმაც აგვისტოში გერმანიაში გასამართი მსოფლიო პირველობის საგზური მოიპოვა.


### ქევიშვილია რეკორდებით ბაიარჯვა

საპრიზო ფონდისთვის ბრძოლა

ტეხასის შტატის ქალაქ მაკალენში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე 17 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილია ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზიმა. კვალიფიკაციაში მეთორმეტე ნომრად განთესილმა ბასილაშვილი პირველ წრეში დაისვენა, შემდეგ კი ამერიკელ პატრიკ დავიდსონს 6:4, 7:6 (7:5) სძლია, ხოლო მეოთხე ნომრად მიჩნეულ ავსტრიელ ნიკოლაუს მოსერს - 6:3, 6:1. ძირითად ბადეში ნიკოლოზმა „უაილდ ქარდით“ მიწვეულ ავსტრიელ ჯეიმონ გრაბს 7:5, 4:6, 6:4 მოუგო, მერვედფინალში კი მეშვიდე განთესვის მქონე ამერიკელ სტივენ ბასს გაეჯობრება. მაკალენის ტურნირის საპრიზო ფონდი 15 ათასი ამერიკული დოლარია.



### ხინჩეგაშვილი ისევ პირველია



გლდანის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში საქართველოს ახალგაზრდული პირველობა ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მორიგი წარმატება 17 წლის ვლადიმერ ხინჩეგაშვილია (55) მოიპოვა. გორის IX საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელზე ერთი თვის წინათაც ვენდით, როცა უფროსებში საქართველოს ჩემპიონი გახდა. იმ გამარჯვების შემდეგ ხინჩეგაშვილი ამ ტურნირშიც ფავორიტად მიიჩნეოდა და იმედები სრულად გაამართლა. მან მთელი შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარა, ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და ოქრო ღირსეულად ირგუნა. ამ გამარჯვებით მან ახალგაზრდულ ნაკრებში ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე გამოსვლის უფლება საბოლოოდ გაინაღდა, თუმცა ეს ტურნირი რომც გამოეტოვებინა, სავარაუდოდ, ნაკრებში ადგილს მაინც დაუჯავშნიდნენ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მის შარშანდელ, მართლაც რომ ფანტასტიკურ გამარჯვებებს, როცა პარალელურად გამოდიოდა ორ ნაკრებში - ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. ხინჩეგაშვილი ორივე ასაკში საქართველოსა და ევროპის ჩემპიონი გახდა, ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონატზე კი მესამე იყო. ხინჩეგაშვილის გარდა, ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონები გახდნენ: ქუთაისელი ლაშა ლომთაძე (50), მისი თანაქალაქელი მურთაზ კვესაძე (60), სამტრედიელი გოგა ხუჭუა (66), საგარეჯოელი დავით ხუციშვილი (74), ყაზბეგელი დავით მარსაგაშვილი (84), აფხაზეთის წარმომადგენელი ელიზბარ ოდიკაძე (96) და თბილისელი გიორგი საკანდელიძე (120).



ახალი განათლება  
მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.  
E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru  
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096  
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრუნდებათ.  
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი  
გ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000